

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლაშა ზაალიშვილი

საგადასახადო სისტემის როლი სიღარიბის დაძლევაში

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,

პროფ. ნ.კახნიაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

საქართველოს ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელია საგადასახადო სისტემა არსებულ რეალობასა და ქვეყნის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში იყოს. საჭიროა ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა ემყარებოდეს მეცნიერულ საფუძვლებსა და ისტორიაში არსებულ პრაქტიკულ მაგალითებს. ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემები, დამატებით გამოწვევებს ქმნის საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრისათვის. ხარჯები, რომლებიც აუცილებელია სოციალური პროგრამების გასატარებლად და ამავდროულად ქვეყანაში მყარი ეკონომიკის შესაქმნელად, რომელსაც შესწევს უნარი ჯანსაღ გარემოში ეფექტურად იფუნქციონიროს, სწორედ საგადასახადო სისტემის გამართულად მუშაობაზეა დამოკიდებული.

ნაშრომში განხილულია არსებული საგადასახადო სისტემა, ის ხარვეზები და გამოწვევები, რომელიც მის წინაშე დგას. აგრეთვე მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყანაში არსებული შემოსავლების არათანაბარი განაწილება. გამოწვევად რჩება თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში არსებული სხვაობა ეკონომიკურ ცვლადებს შორის. ამ ამოცანების გადაჭრის მიზნით საჭიროა შესწავლილ იქნეს საგადასახადო სისტემის შექმნასა და მართვასთან დაკავშირებული მეცნიერული თეორიები, მოსაზრებები და შედარებულ იქნას არსებულ რეალობაში წარმატებულ მოდელებთან.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის მუდმივი განვითარების მცდელობა, ნაშრომები და პუბლიკაციები, რომლებიც ქვეყნდება მსოფლიო ბანკის, საქართველოს მთავრობისა და მეცნიერთა მიერ ამ თემის აქტუალობას ადასტურებს.

სიღარიბის დასაძლევად აუცილებელია, ქვეყნის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში მყოფი საგადასახადო პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა საშუალებას იძლევა სხვა ეკონომიკურ ინსტრუმენტებთან ერთად სიღარიბის დონის შემცირებისა და მოსახლეობას შორის შემოსავლების გადანაწილების უფრო მეტად სამართლიანი გზის შესაქმნელად.

Annotation

The role of tax system in overcoming poverty

Student: Lasha Zaalishvili

It is essential for Georgia's economic growth its tax system to be in compliance with the reality and state's long-term strategic goals. It is necessary state's tax policy to stand on the scientific basis and practical examples, existing in history. Current social problems in state create additional challenges for defining the tax policy. Expenses, that are essential to implement social programs as well as to create a steady state economy, which is able to function effectively in the healthy environment, depend on the properly working tax system. This issue causes the actuality of the topic in today's reality.

The aim of the work is to study the current tax system, the way of its creation and formation, those gaps and challenges it faces to, to analyze the strong points of the system and plan the ways of development. Essential issue is the unequal distribution of the state incomes. According to Gini coefficient Georgia has one of the top positions in the region due to inequality of income distribution. The difference in economic characteristics between Tbilisi and Georgia's other regions stays challenging. To solve this issue it is needed to study the scientific theories and opinions related to the creation and administration of tax system and to summarize them with the existing successful models.

The attempt of developing the tax system existing in Georgia and actuality of this topic is confirmed with the works and publications by the World Bank, Georgian government and scientists. Acknowledged tax policy, that is in compliance with the state's strategic goals, is essential, but not enough, to overcome poverty. Designing such policy, together with other economic tools, gives possibility to decrease poverty and create fairer ways to distribute incomes among population.

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1 საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა	8
1.1 საგადასახადო სისტემის წარმოშობა, კლასიფიკაცია და სტრუქტურა	8
1.2 საგადასახადო სისტემის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში	24
თავი 2 საქართველოს საგადასახადო სისტემის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, მათი დაძლევის გზები	34
2.1 საქართველოს საგადასახადო სისტემის ძირითადი მახასიათებლები, მათი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები	34
2.2 საგადასახადო სისტემის მართვის ორგანიზაცია და მისი სრულყოფის ღონისძიებები	40
თავი 3 გადასახადები, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი	62
3.1 შემოსავლების განაწილების უთანასწორობა საქართველოში	62
3.2 დაბეგვრის რეგულირება და სრულყოფა	87
დასკვნა	90
გამოყენებული ლიტერატურის სია:	92

შესავალი

თემის აქტუალურობა: საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. მხოლოდ გამართული და თანადროული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისი საგადასახადო სისტემის ფორმირების პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, წარმოების განვითარება და ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს ფორმულირებისა და განვითარების ეკონომიკური საფუძველია ფინანსური რესურსები, რომლებიც ძირითადად გადასახადებითა და მათი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდით ფორმირდება. ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემის გამართულ მუშაობაზე. გადასახადები სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის არის და დარჩება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკვანძო საკითხად.

გადასახადების ოდენობის, მისი სახეების განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-ყოფითი პირობების, სამართლიანობისა და ეფექტურობის გათვალისწინებით, ყველა დროის ცნობილ მოაზროვნეთა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. ნებისმიერი ქვეყნის მიზანია შექმნას ისეთი მოქნილი და მიზანდასახული საგადასახადო სისტემა, რომელიც ადვილად შეეწყობა ცვალებად ეკონომიკურ გარემოს და დროის კონკრეტულ მომენტში ქვეყნის ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების ხასიათის გათვალისწინებას შეძლებს.

როგორც წესი, საგადასახადო სისტემას მრავალმიზნობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ერთის მხრივ, მისი მეშვეობით უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის ძირითადი ნაწილის ფორმირება, ხოლო, მეორეს მხრივ, საგადასახადო სისტემა სტიმული უნდა

იყოს სამეწარმეო აქტივობისათვის, ინვესტიციების მოზიდვისათვის, წარმოების გაფართოება, განვითარებისა და შესაბამისად, აღნიშნულის კვალობაზე საგადასახადო ბაზის შემდგომი გაზრდისათვის. ანუ, ზოგადად რომ ვთქვათ, საგადასახადო სისტემა, ეკონომიკის განვითარების – სტიმულირების ხელშემწყობ მექანიზმს უნდა წარმოადგენდეს.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური დებულებები, კლასიკური და თანამედროვე საგადასახადო თეორიები, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები საგადასახადო პრობლემატიკის საკითხებთან დაკავშირებით, ოფიციალური დოკუმენტები, საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციები, მეთოდური მითითებები, ბრძანებები, ასევე, სახელმწიფო ორგანოებისა და ბიზნეს სტრუქტურების მასალები აღნიშნულ სფეროში.

კვლევის მიზანი: ნაშრომის კვლევის მიზანია წარმოვადგინოთ საქართველოს საგადასახადო სისტემის როლი და გავლენა სიღარიბის დაძლევაში. ასევე, განვითარებულ სახელმწიფოთა საგადასახადო სისტემების მოწინავე გამოცდილებათა გათვალისწინებით საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **კვლევის ძირითადი ამოცანებია:**

- საგადასახადო სისტემის საფუძვლის გადასახადების არსის შესწავლა;
- მოწინავე და განვითარებადი ქვეყნების საგადასახადო სისტემისა და პოლიტიკის აგების ძირითადი პრინციპების, მიდგომების შესწავლა – გაანალიზება;
- საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, ევროკავშირისა და სხვა მოწინავე გამოცდილების ქვეყნებში, დაბეგვრის სფეროში არსებული გამოცდილების ადაპტირება;

- საქართველოს საგადასახადო სისტემის შემადგენელი ცალკეული გადასახადის მაქსიმალური ოპტიმიზაცია;
- თანამედროვე პირობებში საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა.

კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები:

გაანალიზებულია საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირების დღიდან საგადასახადო სისტემისა და პოლიტიკის შემუშავების, ჩამოყალიბებისა და პრაქტიკაში დამკვიდრებისას არსებული ხარვეზებისა და შეცდომების გამომწვევი მიზეზები, აგრეთვე ნეგატიური მოვლენები და უარყოფითი შედეგები.

განსაზღვრულია საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად მიღწეული წარმატებები, აგრეთვე ხარვეზები და ნაკლოვანებები;

დასაბუთებულია გადასახადების რაოდენობისა და საგადასახადო განაკვეთის შემცირებით გადასახადების გადამხდელთათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების დადებითი გავლენა ეკონომიკურ აღმავლობაზე; ქვეყანაში ბიზნეს კლიმატის გაჯანსაღების, საინვენსტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია წინადადებები, კერძოდ: გადასახადების შემდგომი ოპტიმიზაცია, საგადასახადო მენეჯმენტის სრულყოფა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის განსაკუთრებული ხელშემწყობი პირობების შექმნა, რეალური შეღავათების შემოღება.

თავი 1 საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა

1.1 საგადასახადო სისტემის წარმოშობა, კლასიფიკაცია და სტრუქტურა

გადასახადების წარმოშობას უძველესი ისტორია აქვს და ცნება „გადასახდი“ თავისი ფესვებით საუკუნეების სიღრმიდან მოდის. გადასახადები ჯერ კიდევ საზოგადოებრივი ცივილიზაციის გარიჟრაჟზე შემოიღეს, როგორც კი მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილება გაჩნდა. კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის ეტაპზე ფილოსოფოსები გადასახადებს განმარტავდნენ, როგორც საზოგადოებისათვის აუცილებელ და სასარგებლო მოვლენას. თავდაპირველად გადასახადები მოსახლეობიდან იკრიბებოდა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში, ხოლო შემდგომ - სახელმწიფოების ჯარისა და მუდმივად მზარდი ჩინოვნიკური აპარატის შენახვის აუცილებლობამ მოითხოვა ფულადი საშუალებების უწყვეტი ნაკადი, რის შედეგადაც გადასახადები დროებითიდან სახელმწიფო შემოსავლების მიღების მუდმივ წყაროდ გადაიქცა. რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, იგი შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა, მაშინ როდესაც წარმოიშვა სახელმწიფო და ფორმირდება სახელმწიფოს განვითარების პარალელურად.

სახელმწიფოებრივი ორგანიზების საწყის ეტაპზე წარმოიშვა რელიგიური დაბეგვრა. მისი ძირითადი ფორმა იყო პირუტყვის მსხვერპლად შეწირვა, შემდეგ თანდათანობით დამკვიდრდა მიღებული შემოსავლის პროცენტის დაბეგვრა. რელიგიური გადასახადები უმეტეს წილად ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა.

სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალდაკვალ შემოღებულ იქნა ცალკეული გავლენიანი პირების (მთავრების) სასარგებლო გადასახადები. ასეთი პრაქტიკა ასეული წლების განმავლობაში არსებობდა ძველ ეგვიპტესა და შუასაუკუნეების ევროპაში. გადასახადების თანდათანობით განვითარებამ

სახელმწიფოებს საშუალება მისცა სახსრები მიემართათ დაქირავებული არმიის შესანახად, ქვეყნის დედაქალაქის ირგვლივ ციხე-სიმაგრეების, ეკლესიების, წყალგაყვანილობის, გზების და სხვა დამხმარე სისტემების ასაშენებლად, აგრეთვე დღესასწაულების მოსაწყობად, ღარიბთა და უმწეოთათვის პროდუქტების დასარიგებლად.

მსგავსად მსოფლიოს სხვა ქვეყნებისა, საქართველოში დაბეგვრას საფუძველი სახელმწიფოს წარმოშობისთანავე ჩაეყარა, თუმცა უძველეს საქართველოში არსებული გადასახადებისა და დაბეგვრის წესის შესახებ ისტორიას ცოტა რამ შემორჩა.

ჩვენამდე მოღწეული წყაროების თანახმად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8 საუკუნეში გადასახადებს განაგებდა გვარის უფროსი მამასახლისი, რომელიც მონებს გადასახადს (ბეგარას) ჭირნახულის სახით უწესებდა.

ბეგარა – არაბულად ნიშნავს მუშაობას. ეს ცნება ქართულში გამოიყენებოდა და ახლაც გამოიყენება, როგორც გადასახადის სინონიმი. ბეგარა ზოგადად ყოველგვარ ვალდებულებას ერქვა. უძველესი ძირითადი გადასახადი იყო „თავი-ბეგარა“, ანუ „მართალი-ბეგარა“, რომლის მოცულობა დიდი არ იყო, დამოკიდებული იყო გლეხის შეძლებაზე და საერთო მოსავლის 1/10 – 1/7-ს შეადგენდა. არსებობდა შრომითი ბეგარაც, რომლის ძალითაც გლეხს ბატონის მამულში წელიწადში რამდენიმე დღე უნდა ემუშავა. სამუშაო დღეების რაოდენობა დამოკიდებული იყო ბატონის მამულისა და ყმების რაოდენობის შეფარდებაზე.

შუა საუკუნეების საქართველოში გადასახადების ძირითად გადამხდელებს წარმოადგენდნენ გლეხები. ეს უკანასკნელნი მოკლებულნი იყვნენ თავისუფლებას და ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ ბეგარა. გლეხი ამუშავებდა თავისი პატრონის მიწას და მოყვანილი მოსავლის ნაწილს პატრონს აძლევდა. ამგვარი ურთიერთობის არანაირი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა და იგი დაფუძნებული იყო პატრონსა და გლეხს შორის პირად გარიგებაზე და იმ დროისათვის არსებულ ტრადიციასა და ისტორიულ პირობებზე.

ბატონყმობის პერიოდში ფეოდალს მიწაზე მომუშავე ყმა-გლეხისაგან გადასახადი კულუხის, ღალის და სხვა გამოსაღებების სახით შემოსდიოდა. გლეხისაგან გამოსაღებების ამოღებას ახდენდა მოხელე-ხელისუფალი, ციხისთავი, მოხარჯე და

მოსაბანჯრე. მოხარჯე კრეფდა ხარჯს ანუ სახელმწიფო გადასახადს, ხოლო მოსაბანჯრე - სამოვრების გამოყენებისათვის გადასახადს - საბანჯარს. შემდგომ პერიოდში გადასახადების ამკრებთა რიცხვს შეემატა გზირი და მსახური, რომლებიც ძირითადად „საჭირისუფლო“ და „საქორწინო“ გადასახადების აკრეფით იყვნენ დაკავებულნი. ლხინისათვის დაწესებულ გადასახადს სანიჭარი ეწოდებოდა, ხოლო სიკვდილის შემთხვევაში გადასახადელს-შესაწირავი. თავდაპირველად აღნიშნული გადასახადები ნებაყოფლობითი, ძალდაუტახებელი ხასიათისა იყო, ხოლო შემდგომში ისინი აუცილებელ გამოსაღებად იქცა. გარდა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის, ხარკს (გადასახადს) დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაც იხდიდა, რასაც ნაალაფევი ერქვა. გადასახადის აკრეფას ანხორციელებდა მრავალრიცხოვანი მოხელე. ისინი მიმაგრებული იყვნენ სოფლებზე, საციხისთავოებზე და საერისთავოებზე.

საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების გარდა, არსებობდა ასევე ადგილობრივი გადასახადებიც. ასეთ გადასახადს მიეკუთვნებოდა **მასრაფი**, რომელიც ხმარდებოდა ქალაქის კომუნალურ მეურნეობას, მაზრის უფროსის ხელფასს და სხვა ხარჯებს.

ამრიგად, საქართველოში საგადასახადო დაბეგვრა უპირატესობას ანიჭებდა გადასახადის ნატურალურ ფორმას, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ფულადმა ფორმამ შეცვალა. ძველ საქართველოში გადასახადების წარმოშობისა და განვითარების შესახებ გამოკვლევებში ფასდაუდებელი წვლილი, აქვთ შეტანილი მე-20 საუკუნის უდიდეს მეცნიერებს, აკადემიკოსებს: ივანე ჯავახიშვილს, პაატა გუგუშვილს, ვასილ ჩანტლაძეს, ირაკლი ანთილაძეს.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე მანძილზე სახელმწიფომ ავტონომიური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება ვერ მოასწრო და გადასახადები ძირითადად მეფის რუსეთის დროს დამკვიდრებული საგადასახადო სისტემისა და წესების მიხედვით იკრიბებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საგადასახადო სისტემა მთლიანად იმეორებდა სსრკ-ს ფარგლებში დადგენილ გადასახადებს. ამასთან, თავისი არსებობის შვიდი ათეული წლის განმავლობაში, საბჭოთა საგადასახადო სისტემამ მრავალჯერ განიცადა ცვლილება. საბჭოთა საქართველოში ბიუჯეტის შემოსავლების 90%-ზე მეტს შეადგენდა

საწარმოთა გადასახადები. ამ უკანასკნელის წყარო იყო მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი წმინდა შემოსავალი.

სოციალისტური საწარმოები ბიუჯეტში იხდიდნენ სამი სახის: ბრუნვიდან, მოგებიდან და სხვა შემოსავლებიდან გადასახადს. საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების ბრუნვიდან გადასახადი იყოფოდა სასაქონლო და არასასაქონლო ბრუნვიდან გადასახადებად. სასაქონლო ბრუნვიდან გადაიხდებოდა საქონლის ბრუნვის გადასახადი, ხოლო არასასაქონლო ბრუნვიდან – შემოსავლიდან გადასახადი.

სახელმწიფო საწარმოების მოგებიდან ბიუჯეტში ჩარიცხვას ექვემდებარებოდა: ძირითად საწარმო ფონდებზე და ნორმირებულ საბრუნავ საშუალებებზე გადასახდელი, წყალზე გადასახდელი, ფიქსირებული (რენტული და არარენტული ხასიათის) გადასახდელი და შენატანები მოგების თავისუფალ ნაშთზე.

კოოპერატიული საწარმოები ბიუჯეტში იხდიდნენ: კოლმეურნეობებიდან საშემოსავლო გადასახადს, აგრეთვე კოოპერატიული სამომხმარებლო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადს.

საბჭოთა პერიოდის საქართველოში მთავარ როლს თამაშობდა ბრუნვის გადასახადი, რამდენადაც სოციალისტური მეთოდოლოგიით ახალი ღირებულება მხოლოდ წარმოების სფეროში იანგარიშებოდა. ბრუნვის გადასახადს იხდიდნენ სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, საწარმოო გაერთიანებები (კომბინატები), საზოგადოებრივი, კოოპერატიული და მეურნეობათაშორისი ორგანიზაციები, რომლებიც ახდენდნენ საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციას.

ბრუნვის გადასახადის სიდიდის გასაანგარიშებლად გამოიყენებოდა სამი მეთოდი: ფასთა სხვაობის მეთოდი, მყარ თანხაში ფიქსირებული განაკვეთი, ბრუნვის მიმართ საპროცენტო განაკვეთი.

საბჭოთა საგადასახადო სისტემაში ბრუნვის გადასახადის შემდეგ მეორე ადგილი ეკავა მოგებიდან გადასახადს. საწარმოები ვალდებული იყვნენ ბიუჯეტში პირველ რიგში ჩაერიცხათ ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებული საშუალებების გადასახდელები. ძირითად საწარმოო ფონდებზე გადასახდელი დადგენილი იყო პროცენტებში: მაღალრენტაბელური საწარმოებისათვის - დასაბეგრი ობიექტის ღირებულების 6%, ხოლო ნაკლებად რენტაბელური საწარმოებისათვის - 3%.

საბჭოთა საგადასახადო სისტემაში გამოიყენებოდა აგრეთვე ფიქსირებული გადასახდელი. განსაკუთრებით მომპოვებელი მრეწველობის საწარმოებში, რომლებსაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, წარმოექმნებოდათ დიფერენციული წმინდა შემოსავალი, აგრეთვე დამამუშავებელ საწარმოებში, რომელთა რენტაბელობა უფრო მაღალი იყო საშუალო დარგობრივთან შედარებით. ფიქსირებული გადასახდელი ბიუჯეტში შეიტანებოდა მისი განაწილების პროცესში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საწარმოები ვალდებული იყვნენ ბიუჯეტში შეეტანათ მოგების თავისუფალი ნაშთი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დირექტიული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში საწარმოებს არ გააჩნდათ თავისუფლება და შესაბამისად დაბალი იყო ეკონომიკის განვითარების ტემპები.

საგადასახადო სისტემა ესაა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლების, მათი პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების დადგენის, ცვლილებების, გაუქმების, გადახდისა და ამოღების, აგრეთვე, გადასახადებისგან თავის არიდებაზე პასუხისმგებლობის ნორმების ერთობლიობა. გადასახადის მრავალფეროვნების, მათი სახეებისა და სტრუქტურების, ამოღების ხერხების, საბაზისო განაკვეთების, შეღავათებისა და ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური რწმუნების მიხედვით.

საგადასახადო სისტემები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე, ისინი პრაქტიკაში მრავალგვარი სახითა და ეროვნული თავისებურებების სიმრავლით წარმოგვიდგება. საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს გადასახადების ასაკრეფად სახელმწიფოს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც ტარდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, წარმოების მოცულობასა და მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით.

საგადასახადო პოლიტიკის რეალიზება წარმოებს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღების საფუძველზე, რომლებიც ადგენს ქვეყანაში ასაკრეფი გადასახადების სახეებს, ასევე გადამხდელთა წრეს, საგადასახადო განაკვეთებს, საგადასახადო შეღავათებს, გადამხდელთა პასუხისმგებლობას, გადასახადების განაწილებას ბიუჯეტის დონეებს შორის.

საგადასახადო სისტემისთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი სისტემისათვის, დამახასიათებელია ისეთი ნიშნები, როგორცაა სისტემის ელემენტობრივი შემადგენლობა, ელემენტების ურთიერთკავშირი, ორგანული მთლიანობა და ერთიანობა, უწყვეტი განვითარება.

საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო სიმძიმე) – არის განზოგადებული მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს გადასახდების როლს საზოგადოების ცხოვრებაში და განისაზღვრება, როგორც საგადასახადო შემოსავლების საერთო ჯამის შეფარდება ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან.

საგადასახადო სისტემის კიდევ ერთ ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს საშინაო და საგარეო ვაჭრობიდან საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობა. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ძირითადად ახორციელებენ მზა პროდუქციის ექსპორტს, საექსპორტო გადასახადები უმნიშვნელოა, ხოლო ბიუჯეტის ძირითად შენატანებს ქვეყნის შიგნით განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების დაბეგვრა წარმოადგენს. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, საექსპორტო ნედლეულზე დაწესებული საბაჟო გადასახადების ხარჯზე, დიდია საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების წილი.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისთვის აღიარებულია საგადასახადო სისტემის 5 ძირითადი კრიტერიუმი:

1. **ეკონომიკური ეფექტიანობა.** საგადასახადო სისტემა წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს რესურსების ეფექტიანად განაწილებასთან;
2. **ადმინისტრაციული სიმარტივე.** ადმინისტრაციული სისტემა უნდა იყოს მარტივი და გამოსაყენებლად შედარებით იაფი;
3. **მოქნილობა** - შეძლოს ცვალებად ეკონომიკურ პირობებზე სწრაფი რეაგირება;
4. **პოლიტიკური პასუხისმგებლობა.** საგადასახადო სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ ადამიანებს სჯეროდეთ, რომ ისინი იხდიან იმიტომ, რომ პოლიტიკურ სისტემას შეეძლოს ზუსტად გამოხატოს მათი უპირატესობა;
5. **სამართლიანობა.** საგადასახადო სისტემა სამართლიანი უნდა იყოს საზოგადოების სხვადასხვა წევრის მიმართ.

საქართველოს საგადასახადო სისტემის გადასახადების სტრუქტურა საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების დღიდან გამუდმებით განიცდის ცვლილებებს და თვისობრივად ახლებურად ყალიბდება. საზოგადოდ ცნობილია, რომ რაციონალური საგადასახადო სისტემის ფორმულირების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის, განსაკუთრებით კი მეწარმეთათვის, მარტივი, გასაგები და მისაღები უნდა იყოს. არ შეიძლება უგულებელყოფა იმისა, რომ გადასახადები განსაკუთრებული მნიშვნელობის ბერკეტია და მისი თეორიულ-მეცნიერული არგუმენტების გარეშე, მექანიკური გამოყენებით სუსტდება ფინანსები, ფული და საერთოდ ეკონომიკა. იგი ხდება წარმოებისა და საბოლოო ჯამში კი ეკონომიკის დამამუხრუჭებელი ფაქტორი.

საქართველოს საგადასახადო სისტემა სხვადასხვა სახის გადასახადებს მოიცავს. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წარმოებს. დაბეგვრის ობიექტების მიხედვით გადასახადები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად. პირდაპირი გადასახადები უშუალოდ შემოსავალზე, ან ქონებაზე (დაბეგვრის პირდაპირი ფორმა) წესდება. არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება ისეთი გადასახადები, რომლებიც შედის საქონლის ფასში ან მომსახურების ტარიფებში. საქონლის მფლობელს ბიუჯეტში მისი რეალიზაციიდან მიღებული გადასახადი შეაქვს (დაბეგვრის პირდაპირი ფორმა). ამ ნიშნით გადასახადების კლასიფიკაცია რამდენადმე რთულია იმის გამო, რომ კორპორაციებზე დაკისრებული გადასახადები ფორმალურად პირდაპირია, მაგრამ მისი გარკვეული ნაწილი ფასში შეიტანება და მომხმარებელს ამ გზით გადაეკისრება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია შემდეგი ტიპის გადასახადები :


საშემოსავლო გადასახადი. საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს: საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული

წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 20 პროცენტით, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე, იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, 5 პროცენტით იბეგრება.

საშემოსავლო გადასახადი



2019 ფაქტი	360,800	203,362	253,091	323,105									
2018 ფაქტი	337,967	192,685	249,028	332,453	259,507	249,667	290,170	266,623	262,276	251,597	268,809	286,307	
2017 ფაქტი	319,084	165,207	256,973	249,132	245,397	224,772	251,741	239,314	237,304	236,105	241,142	252,695	

წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 1

უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში საშემოსავლო გადასახადის სახით შემოსული თანხები იზრდება. 2018 წელს საშემოსავლო გადასახადის შედეგად მიღებულმა თანხებმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა წინა წელთან შედარებით. ასევე ზრდის ტენდენცია აქვს 2019 წლის მონაცემებს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადის გადამხდელია: რეზიდენტი საწარმო;

არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

ორგანიზაციის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი, გარდა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.


2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი ე.წ. განაწილებული მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი), რომელსაც გარვეული კატეგორიის პირები გადაიხდიან. გადასახადის გადამხდელი არ გადაიხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ არ გაანაწილებს მოგებას ან არ გასწევს ისეთ ხარჯს, რომელიც არ უკავშირდება მის ეკონომიკურ საქმიანობას.

განაწილებული მოგების გადასახადის გადამხდელია საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული რეზიდენტი საწარმო; არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

მოგების გადასახადის ახალი, ესტონური მოდელით იბეგრება განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა

ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; წარმოდგენლობითი ხარჯი, რომელიც გაწეულია საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით.

მოგების გადასახადი




2019 ფაქტი	62,103	35,491	181,573	44,218								
2018 ფაქტი	38,755	36,229	160,685	51,267	66,198	44,271	82,023	27,892	69,050	51,853	46,496	61,905
2017 ფაქტი	14,698	24,184	220,303	75,725	57,884	97,284	54,183	20,439	52,888	44,323	32,314	62,331

წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 2

მოგების გადასახადი 2017-2019 წლებში, წარმოდგენილი თითოეული თვის შესაბამისად. სტანდარტულად მოგების გადასახადის ყველაზე დიდი ნაწილი მარტის თვეში გადაიხდება. ეს ხსნის გრაფიკზე გამოსახულ მაჩვენებლებს შორის ასეთ მნიშვნელოვან სხვაობას, სადაც მესამე თვე სამჯერ და უფრო მეტად აღემატება დანარჩენ თვეებს.

ქონების გადასახადი. ქონების გადასახადის გადამხდელია: რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე; არარეზიდენტი საწარმო – საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე); ფიზიკური პირი.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.



2019 დაქტი	872	1,794	1,482	31,099								
2018 დაქტი	1,850	3,244	1,688	36,955	1,989	267,612	8,191	9,016	2,776	3,319	95,598	8,924
2017 დაქტი	1,124	1,344	1,627	27,631	1,054	251,050	6,677	3,433	1,657	1,535	92,771	4,847

წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 3


ქონების გადასახადიდან ხასიათიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია აპრილის, ივნისისა და ნოემბრის თვეები. წლის დანარჩენ ნაწილში შემოსული თანხები ძალიან მცირეა ან არ ფიქსირდება. ქონების გადასახადიდან შემოსული თანხებიც იზრდება 2018 წელს 2017 წელთან შედარებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელად ითვლება: პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად; პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად; პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან

დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე; არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას; პირი, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორის საკუთრებაში გადაცემას მხოლოდ ამ ოპერაციაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე; პირი, რომლის საქონლის რეალიზაციაც ხდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით, აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე; პირი, რომლის სამეურვეო ქონების რეალიზაციაც ხდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.

დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია: დასაბეგრი ოპერაცია; იმპორტი; ექსპორტი, რეექსპორტი; დროებითი შემოტანა.

დღგ




2019 ფაქტი	507,344	285,954	299,188	397,810								
2018 ფაქტი	442,367	284,677	337,668	369,772	369,172	348,410	393,211	389,625	360,784	411,910	336,671	382,642
2017 ფაქტი	385,342	298,690	276,763	284,885	341,242	327,943	354,727	373,552	368,907	390,057	357,707	362,799

წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 4

გრაფიკზე ჩანს, რომ 2019 წელს იანვრის თვეში წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემოსულმა თანხებმა თითქმის 15%-იანი ზრდა განიცადა. შემდგომი 2 თვის განმავლობაში მაჩვენებლები გათანაბრდა და შემდეგ შემცირდა წინა წელთან შედარებით. აპრილის თვეში კლვავ გადააჭარბა გასული წლის მაჩვენებელს.

აქციზი. აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც: აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში; ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში; ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს; ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;

აქციზის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე. აქციზი გადახდას ექვემდებარება არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. საქონლის იმპორტისას აქციზი გადაიხდება იმპორტის გადასახდელისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.




წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 5

აქციზის გადასახადი უკანასკნელი წლების განმავლობაში იცვლებოდა გარკვეულ პროდუქტებზე და გადასახადის ამ ტიპისგან მიღებული შემოსავლებიც არასტაბილურობით გამოირჩეოდა, როგორც ეს გრაფიკზე ჩანს.

იმპორტის გადასახადი. იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა. იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. იმპორტის გადასახადის განაკვეთი შეადგენს 12-პროცენტს ან 5-პროცენტს საქონლის ტიპის მიხედვით.

იმპორტის გადასახადი




2019 ფაქტი	5,511	4,674	5,356	6,429									
2018 ფაქტი	7,524	5,098	6,357	6,244	6,297	6,350	6,348	6,672	4,856	6,199	5,422	6,049	
2017 ფაქტი	7,080	5,254	5,931	5,178	5,242	5,678	5,552	6,194	5,202	6,742	6,597	6,968	

წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 6

იმპორტის გადასახადიდან შემოსული თანხების დინამიკა გრაფიკზეა ასახული, სადაც ჩანს, რომ 2018 წლის იანვრის თვეში ეს მაჩვენებელი გაცილებით აღემატებოდა დანარჩენ პერიოდებში არსებულ მაჩვენებლებს. 2019 წლის პირველი 3 თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი შემცირება ფიქსირდება 2017-2018 წლებთან შედარებით, ხოლო მეოთხე თვეში მცირე ზრდა დაფიქსირდა 2018 წლის აპრილის თვესთან შედარებით.

წაერთი ბიუჯეტის გადასახადები



2019 ფაქტი	933,501	721,209	937,340	885,810									
2018 ფაქტი	829,698	675,383	944,850	816,725	808,161	950,947	903,765	878,964	888,735	853,379	939,931	1,015,777	
2017 ფაქტი	712,531	607,256	1,056,632	755,611	755,657	860,521	827,986	796,944	832,310	800,053	897,998	875,451	

წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 7

2019 წელს გადასახადებისგან მიღებული თანხები უმეტეს შემთხვევაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება წინა წლებთან შედარებით. გაზრდილი შემოსავლები საშუალებას იძლევა გაიზარდოს ხარჯები და განხორციელებული პროექტები. მნიშვნელოვანია საკითხია საზოგადოების რომელი ნაწილის ხარჯზე ხდება ზრდა და შემოსავლების ზრდის პარალელურად ხომ არ გაიზრდება ჯინის კოეფიციენტის მაჩვენებელი.

1.2 საგადასახადო სისტემის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში

გადასახადებზე წარმოდგენა საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა. გადასახადებით დაბეგვრის თეორიის განვითარებასა და სრულყოფასთან ერთად ტერმინის „გადასახადის“ გაგებაზე შეხედულებების ევოლუცია ხდებოდა. მისი განსაზღვრის მეშვეობით შეიცნობა და ფასდება დაბეგვრისადმი საზოგადოების დამოკიდებულება. ამიტომ მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ გადასახადის ცნება განესაზღვრათ, არა მარტო ეკონომიკური პოზიციებიდან გამომდინარე, არამედ იურიდიული თვალსაზრისითაც. ნებისმიერ ქვეყანაში, როგორცაა სახელმწიფოებრიობის საფუძველი, ისეთია მისი ფისკალური სისტემის მნიშვნელობა. იცვლება ხელისუფლება, აგრეთვე იცვლება ეკონომიკური პოლიტიკა, ხოლო მასთან ერთად ძალაუფლების განხორციელების ფორმაც გადასახადის ჩათვლით.

გადასახადების დაწესების, მათი აკრეფის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე საზოგადოებრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ყალიბდებოდა ერთმანეთისგან განსხვავებული საგადასახადო თეორიები, რომლებიც გულისხმობს საგადასახადო სისტემების აგების განსხვავებულ პრინციპებს, სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს მათ სტრუქტურას, როლსა და ფუნქციებს ეკონომიკაში.

გადასახადების თეორიული ასპექტების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში მერკანტილიზმის პერიოდიდან. მერკანტილისტები (დ. ლოკი, თ. გობსი და სხვები) აცხადებდნენ, რომ აუცილებელი იყო, სახელმწიფოსათვის გადასახადები გადაქცეულიყო შემოსავლის მუდმივ წყაროდ, განსაზღვრულიყო პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების უპირატესობა და გადასახადის გადამხდელთათვის შეთავაზებულიყო როგორც მისთვის, ასევე ეკონომიკისათვის ყველაზე მისაღები დაბეგვრის ობიექტი (მიწა და ქონება).

პირველად, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემური სწავლება გადასახადების შესახებ შექმნა ა. სმიტმა და აღნიშნა, რომ საგადასახადო სისტემის ფორმირება ხდება

სახელმწიფოს განვითარების შედარებით მაღალ დონეზე, და ეს არის დამოუკიდებლად მოქმედი სამეურნეო სუბიექტებისაგან, შემოსავლების მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული და სისტემატიზებული ამოღება სახელმწიფოს სასარგებლოდ. ა. სმიტმა, წინა პლანზე წამოწია დაბეგვრის ოთხი ძირითადი პრინციპი: თანაზომიერება, განსაზღვრულობა, მოხერხებულობა და სიმარტივე. როგორც ა. სმიტი, ასევე უ. პეტი, ჯ. მილი და სხვები თვლიდნენ, ეკონომიკა იყო მყარი და თვითრეგულირებადი სისტემა, რომელიც მიიღწვოდა „უხილავი ხელის“ პრინციპის მოქმედების საფუძველზე. თუმცა აღნიშნული პრინციპის მუშაობისათვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს შეესრულებინა მასზე დაკისრებული ფუნქციები: საკუთრების უფლების დაცვა და თავისუფალი ბაზრის განვითარების უზრუნველყოფა.

ევროპის სახელმწიფოების ფორმირებისა და განვითარების პარარალურად XVII საუკუნის მეორე ნახევრისათვის გადასახადების თეორია ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის ფუძემდებელმა უილიამ პეტიმ, რომელმაც 1662 წელს გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „ტრაქტატი გადასახადთა და გამოსადებთა შესახებ“. აღნიშნულ ნაშრომში მან დაასაბუთა, რომ სამართლიანი და მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა სტიმულს აძლევს ეკონომიკის განვითარებას და სტაბილურს ხდის სახელმწიფოს ფუნქციონირებას.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და სამეწარმეო ურთიერთობების სრულყოფის კვალდაკვალ ეკონომიკაში განვითარებული ობიექტური ციკლური მოვლენების კვალობაზე (სამრეწველო კრიზისი ინგლისში 1825 წელს, ინგლისსა და აშშ-ში 1836 წელს, აშშ-სა და ევროპის რიგ ქვეყნებში 1847–1848 წლებში, ასევე 1857 წელს, 1866 წელს, 1873 წელს და 1907 წელს) და განვითარებული ქვეყნების ყველაზე დამანგრეველმა ეკონომიკურმა კრიზისებმა (1920–1921, 1929–1933, 1937–1938წწ.), რომლებიც გამოირჩეოდა წარმოების ღრმა და ხანგრძლივი დაცემით, აუცილებელი გახდა გადასახადების შესახებ იმ დროისათვის არსებული კლასიკური თეორიის კორექტირება და სახელმწიფოს ადგილისა და როლის ხელახალი გააზრება, იმ თვალსაზრისით, რომ გადასახადები გამოყენებულიყო როგორც ეფექტური ინსტრუმენტი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისათვის. გაჩნდა ახალი

მეცნიერულად დასაბუთებული თეორიები, როგორც სახელმწიფოს ადგილისა და როლის შესახებ ეკონომიკურ პროცესებში, ისე დაბეგვრის მნიშვნელობის შესახებ. იმ დროისათვის გამოჩენილი მეცნიერული თეორიები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად მიმართულებად – კეინსური და ნეოკლასიკური.

XIX და XX საუკუნეების გასაყარზე მსოფლიოს ერთ–ერთმა უდიდესმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინსმა წამოაყენა რა „ეფექტური მოთხოვნის“ თეორია, დაასაბუთა, რომ გადასახადები ეკონომიკურთან ერთად არის სოციალური ურთიერთობების რეგულირების მძლავრი ინსტრუმენტი და მისი ერთ–ერთი მთავარი ამოცანაა მაკროეკონომიკური წონასწორობის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. კეინსის ერთ–ერთი მთავარი დამსახურება მდგომარეობს შემდეგი დებულების წამოყენებას და დასაბუთებაში: რაც მაღალია ეროვნული შემოსავლის მოცულობა, მით უფრო მეტი გადასახადი უნდა იქნას აკრეფილი და პირიქით. გარდა ამისა, კეინსმა მის მიერ შემუშავებული ე. წ. „ჩასმული სტაბილიზატორის“ თეორიის თანახმად დაასაბუთა, რომ, რაც უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთი, მით უფრო არასტაბილური და მერყევია საგადასახადო ბაზა. მანვე დაამტკიცა, რომ გადასახადების შემცირება ასტიმულირებს შემოსავლების ზრდას და შესაბამისად მატულობს მოხმარება და საბოლოო ჯამში იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც თავის მხრივ ეკონომიკური ზრდის ფაქტორს წარმოადგენს.

კეინსის ერთ–ერთი უდიდესი აღმოჩენაა გადასახადების „ფსიქოლოგიური კანონი“, რომლის თანახმად, სამეურნე ერთეულს მიდრეკილება აქვს შემოსავლის ზრდის პარარელურად გაზარდოს მოხმარება. მაგრამ შედარებით ნაკლები მაშსტაბით, ვიდრე შემოსავლები იზრდება. ეს თავის მხრივ იწვევს დაზოგვის (დაგროვების) გადიდებას, ხოლო ამ უკანასკნელის შესამცირებლად საჭიროა საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთების დაწესება. ყოველივე ამის შედეგად გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, შესაბამისად მეტი თანხა წარიმართება ინვენსტირებისათვის, შემცირდება უმუშევრობის დონე და სტიმული მიეცემა ეკონომიკურ აღორძინებასა და განვითარებას.

კეინსისა და ნეოკეინსიანელთა თეორიულ–ეკონომიკური მოძღვრებანი გარკვეულწილად ეჭვის ქვეშ დააყენა XX საუკუნის 30–40–იანი წლების მსოფლიო

ეკონომიკურმა კრიზისმა. საგადასახადო შემოსავლების გადიდება კრიზისულ პერიოდში ვერ უზრუნველყო სამომხმარებლო მოთხოვნის კომპენსირება და კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი და სწორედ აღნიშნულმა შეურყია საფუძველი ფართოდ აღიარებულ გადასახადების კეინსურ თეორიას.

ყოველივე ამის შემდეგ, XX საუკუნის პირველ ნახევარში მეცნიერ-ეკონომისტებმა და სპეციალისტებმა დაიწყეს გადასახადების მანამდე აღიარებული და გაბატონებული თეორიული სააფუძვლების რევიზია. ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა პ. სამუელსონმა XX საუკუნეში წამოაყენა და დაასაბუთა კონცეფცია საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინტეგრირებულად, ურთიერთდაკავშირებულად ფორმირების აუცილებლობის შესახებ. მისი აზრით, ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ოპტიმალურ ურთიერთშეთანხმებას შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკის არ მხოლოდ აღმავლობა, ან დაცემით გამოწვეული ნეგატიური მოვლენების შერბილება ან ნიველირება არამედ, შექმნას პირობები და გარემო ეკონომიკის განუხრელი აღმავლობისა და სტაბილური განვითარებისათვის.

აღნიშნული იდეა კიდევ უფრო განავითარა და მას ახალი თვისობრივი შინაარსი შესძინა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა მ. ფრიდმენმა. მან დაასაბუთა ეკონომიკის მართვის რეგულირებაში სახელმწიფოს მინიმალურ დონეზე ჩარევის ეფექტიანობა და კეინსის „ეფექტიანი მოთხოვნის“ თეორიას დაუპირისპირა „მიწოდების თეორია“, ანუ ეკონომიკის წონასწორობის უზრუნველსაყოფად მოთხოვნას დაუპირისპირა მიწოდება. სწორედ, აღნიშნული უდევს საფუძვლად დღეისათვის მრავალი განვითარებული ქვეყნის საგადასახადო სისტემას. თანამედროვე საგადასახადო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეფექტურია ის საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ასტიმულირებს დაზოგვას და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. გამომდინარე აქედან, საგადასახადო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ხდება საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გადანაწილება პროდუქციის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ამასთან, ეკონომიკური ზრდის მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა შეუმსუბუქდეს საგადასახადო

ზეწოლა მწარმოებლებს. ამ ამოცანით საგადასახადო პოლიტიკა გამოდის ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტის როლში.

დაბეგვრის თეორიების თანამედროვე მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს რომელიმე ერთი თეორია, რომელიც გამოდგებოდა რეცეპტად ყველა სახელმწიფოსთვის მათი საგადასახადო სისტემების ასაგებად. თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბევრ ქვეყანაში დაბეგვრის მეთოდოლოგიად გამოიყენება სამივე კონცეფციის ურთიერთშეთანხმება: კეინსური სხვადასხვა ვარიაციებით, მიწოდების ეკონომიკის თეორიები და მონეტარიზმი.

კეინსური და სხვა კლასიკური შეხედულებების შეჯერება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით შეიმჩნევა არა მხოლოდ ცნობილი ეკონომისტების მხრიდან, არამედ სახელმწიფო მოხელეების მხრიდანაც, რომლებიც დაკავებული არიან აღნიშნული პრობლემის დარეგულირებით.

გადასახადით დაბეგვრის წყაროს წარმოადგენს საერთო ეროვნული შემოსავალი. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს უნარი – შეასრულოს მისთვის დამახასიათებელი სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა მრავალი ფუნქცია, ძირითადად დამოკიდებულია იმ შემოსავლებს ოდენობაზე, რომელსაც იგი განაგებს.

ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი ვალდებულია გადასახადების გადახდის გზით მონაწილეობდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ბიუჯეტისა და ქვეყნის არასაბიუჯეტო ფონდების ფორმირებაში. ვალდებულება ნიშნავს, რომ ყველა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა, რომელიც შემოსავლებს ღებულობს, გააჩნია ქონება და ახორციელებს სამეურნეო ოპერაციებს, აუცილებელია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო რესურსების ფორმირებაში.

მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის გადანაწილების სტადიაზე, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელის გადანაწილებისას, წარმოიშობა ფინანსური ურთიერთობები სახელმწიფოსა და საზოგადოების წევრებს შორის.

გადასახადები ყოველთვის და ყველგან მთელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს მოიცავდა. კაცობრიობის ისტორიაში არ მოიპოვება გადასახადის გარეშე სახელმწიფოს არსებობის არც ერთი ფაქტი.

საწარმოო ძალთა განვითარებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე კერძო საკუთრების ფორმირებამ, საზოგადოების წევრთა ქონებრივმა უთანასწორობამ (მდიდრებისა და ღარიბების ჩამოყალიბებამ) გამოიწვია სახელმწიფოს ფორმირება და ფუნქციონირება, რომელიც გასაწევი ხარჯების დაფინანსების წყაროების გამონახვას მოითხოვდა, ნებისმიერ საზოგადოებაში ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გადასახადების შემოღება. გადასახადი საზოგადოების ყველა წევრმა უნდა გაიღოს, რადგან იგი სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისათვის, მისი თითოეული წევრისათვის გაწეული მომსახურების ფასია.

„გადასახადები ის ფასია, რომელსაც ცივილიზებული საზოგადოებისათვის ვიხდით“, აღნიშნავდა ცნობილი ამერიკელი მწერალი ოლივერ ჰოლმსი.

გადასახადები მონაწილეობს რა ახლად შექმნილი ღირებულების გადანაწილების პროცესში, გამოდის კვლავწარმოების ერთიანი პროცესის ნაწილად, წარმოებით ურთიერთობათა სპეციფიკურ ფორმად, რაც სხვა არაფერია, თუ არა მათი საზოგადოებრივი შინაარსი, რომელიც საშუალებას იძლევა გავარკვიოთ მათი შინაგანი არსი და ევოლუცია, არსებითი თავისებურებანი.

საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპისათვის, გადასახადების ამოღების მრავალფეროვანი საშუალებებისა და ხერხების გამოყენება ქმნის საგადასახადო ურთიერთობათა დამოკიდებულების, მათი წარმოებითი ურთიერთობისაგან იზოლირების მოჩვენებითობას. რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. სინამდვილეში გადასახადები გამოხატავს რა წარმოებით ურთიერთობათა მეტად შეზღუდულ სფეროს, წარმოადგენს განაწილებით, უფრო ზუსტად კი, გადანაწილებით ურთიერთობათა ნაწილს. გადასახადების მონაწილეობა ეროვნული შემოსავლის და ნაწილობრივ ეროვნული სიმდიდრის გადანაწილებაში საგადასახადო ურთიერთობებს დამოკიდებულს ხდის მატერიალური დოვლათის წარმოების პირველად გადანაწილებაზე, რომელიც იცვლება საწარმოო ძალებისა და გაცვლის მოთხოვნებიდან გამომდინარე. მთლიანობაში გადასახადები ატარებს წარმოებულ, მეორად ხასიათს.

ეროვნული შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც ქვეყნის მთელი მოსახლეობისაგან არის მობილიზებული, გადასახადის სახით, გარდაიქმნება სახელმწიფოს ფინანსური

რესურსების ცენტრალიზირებულ ფონდად, ე. ი. მისი სიცოცხლისუნარიანობის საფუძველად.

ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია გადასახადები, რადგანაც ისინი ქვეყნის ძირითადი ფინანსური გეგმის – ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენენ.

გადასახადები ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარომეტრი და ინსტრუმენტია. იგი სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტს შორის ურთიერთდამოკიდებულების დონეს და ხარისხს ასახავს. გადასახადი თავისი ეკონომიკური ბუნების განაწილებისა და გადანაწილების გზით მიღებული ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის ნაწილია, რომელიც ხელისუფლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაა მიმართული. გადასახადის გარეშე სახელმწიფოს არ შეუძლია თავის შენახვა. სწორედ ამიტაა განპირობებული სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტს შორის არათანაბარუფლებრივი ცალმხრივი საგადასახადო ურთიერთობა. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ ურთიერთობაში სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ, აქტიურ მოქმედ პირს, ხოლო გადასახადის გადამხდელები სახელმწიფოს მიერ დადგენილი სავალდებულო საგადასახადო კანონების პასიური შემსრულებლები არიან.

საგადასახადო ურთიერთობა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა, რაც იმით გამოიხატება, რომ გადასახადები ატარებენ აუცილებელ ხასიათს, ისინი წარმოადგენენ ეროვნული შემოსავლის იმ ნაწილს, რომელთაც სახელმწიფო გადასახადის გადამხდელისგან იძულების წესით ამოიღებს. ამგვარი ადმინისტრაციული მეთოდის გამოყენების აუცილებლობას განაპირობებს ის გარემოება, რომ გადასახადის გადამხდელები მათი შინაგანი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ცდილობენ საკუთარი შემოსავლების მაქსიმალურ გადიდებას და შესაბამისად, გადასახადებს ნებაყოფლობით არ იხდიან. ს. პეპელევის აზრით „გადასახადი წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების კანონით დადგენილი გასხვისების ფორმას, რომელიც ატარებს სავალდებულო, ინდივიდუალურად უსაყიდლოდ და არექვივალენტურ ხასიათს, უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების ღონისძიებებით, არ ატარებს სასჯელის ან კონტრიბუციის

ხასიათს და მისი მიზანია უზრუნველყოს საჯარო ხელისუფლების სუბიექტების გადახდისუნარიანობა.

საქართველოს საგადასახადო სისტემას საფუძველი მისი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში ჩაეყარა. ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საგადასახადო სისტემის წინაშე კონკრეტული ამოცანები იდგა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მას უნდა უზრუნველყო სახელმწიფოს კუთვნილი შემოსავლების მობილიზება სახელმწიფოს მიერვე განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანაში წარმოიქმნა საკუთარი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომლის წინაშეც დაისახა ახალი ამოცანები - საგადასახადო სამართლებრივი პრინციპები, საგადასახადო ტერმინოლოგია და ა.შ.

1997 წელს მიღებულმა საქართველოს საგადასახადო კოდექსმა, რომელიც ძირითადად უცხოელების რეკომენდაციებით იქნა მიღებული, მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო და იმდროინდელი ქართული ეკონომიკის კლანური დაყოფა გამოიწვია. მიზეზი კი ის იყო, რომ როგორც წესი, ბუნებრივია ყველა უცხოელი ცდილობს იქონიოს თავისი გავლენის სფეროები სხვა განუვითარებელ და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაზე, აიძულონ ამ ქვეყნების უმაღლესი პოლიტიკური პირები სხვადასხვა გზებით (გრანტები, დაბალპროცენტიანი სესხები, მოსყიდვა და სხვა) მიაღებინონ ისეთი კანონები, რომლებიც დააკნინებს ეროვნულ ეკონომიკას და მათ ამ ქვეყნების სამომხმარებლო ბაზად აქცევს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სამართლებრივ უზრუნველყოფაში შემდგომ ეტაპს წარმოადგენს 2004 წლის 22 დეკემბერს მიღებული რიგით მეორე საგადასახადო კოდექსი, რომელიც აიგო ერთი მხრივ გადასახადების ლიბერალიზაციაზე, მეორე მხრივ კი მკაცრ საგადასახადო ადმინისტრირებაზე. საქართველოში საგადასახადო ტვირთის სიდიდესთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. საგადასახადო სისტემის სრულყოფისა და საგადასახადო შემოსავლების გადიდების ღონისძიებათა შემუშავებისას საჭიროა, შემოსავლების ადვილად და ეფექტურად გაზრდის შესაძლებლობათა განსაზღვრა, რის შედეგად, უნდა დადგეს საგადასახადო დაბეგვრაში რეფორმის განხორციელების აუცილებლობის საკითხი. გარდა ამისა, საგადასახადო შემოსავლების გადიდების უზრუნველსაყოფად

გატარებული ღონისძიებების შეფასება-ანალიზისას, ხელისუფლებას მხედველობიდან არ უნდა გამოორჩეს მათი ზემოქმედება ფასებზე, სტიმულებსა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ნაკრებზე, არადა, მიწოდება-მოთხოვნის ელასტიურობიდან გამომდინარე, გადასახადებს უნარი შესწევს ცალკეულ ბაზრებსა თუ ეკონომიკურ სექტორებზე სხვადასხვაგვარად იმოქმედოს.

საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის წარმატებით წარმართვა საგადასახადო სისტემის ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებას მოითხოვს, როგორებიცაა: სტაბილურობა და ელასტიურობა, ეფექტურობა, სამართლიანობა, მართვის სიმარტივე, მოხერხებულობა, საგადასახადო ტვირთის გონივრული საზღვრების დადგენა. სახელმწიფო ხელისუფლების მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად საგადასახადო ბაზის ოპტიმალური ზრდა და განვითარება მოხერხდა. ვარდების რეოლუციის შემდეგ ქვეყნაში მოსული ხელისუფლების მიერ გატარებული კურსის წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით განხორციელებულმა რეფორმებმა, რაც გამოიხატა უმკაცრეს ადმინისტრირების პოლიტიკასა და საგადასახადო სამართალდამრღვევთა მიმართ ადეკვატური საჯარიმო სანქციების შემოღებაში. საგადასახადო სამართალდარღვევებზე ფინანსური სანქციები, 1997 წლის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებთან შედარებით, 2004 წლის საგადასახადო კოდექსით რაოდენობრივად გაიზარდა და ბევრად უფრო გამკაცრდა.

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არსებითი მნიშვნელობა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობას ენიჭება. იგი განვითარებულ ქვეყნებში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება: აშშ-ში, იაპონიაში, კანადასა და ინგლისში პირდაპირი გადასახადები სჭარბობს, ხოლო საფრანგეთში – არაპირდაპირი, გერმანიასა და იტალიაში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა შედარებით დაბალანსებულია.

არაპირდაპირი გადასახადების სიჭარბე ძირითადად განვითარებადი და ნაკლებად განვითარებადი ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. იგი ფისკალურად გაცილებით ეფექტურია: შედარებით ნაკლებ ადმინისტრირებას საჭიროებს, ბიუჯეტში რეგულარულად მიიღება, მაგრამ სოციალურად არასამართლიანია, გამომდინარე

იქიდან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მოსახლეობისა და მათი კეთილდღეობის ხარჯზე იზრდება. პირდაპირი გადასახადები საგადასახადო სისტემის საფუძველს წარმოადგენს, იგი საგადასახადო წნეხის სამართლიანად გადანაწილებას უწყობს ხელს. ქვეყანაში პირდაპირი გადასახადების როლის ამაღლებისთვის აუცილებელია, უპირველესად, სამეურნეო სფეროში შეიქმნას კეთილსასურველი საგადასახადო კლიმატი, გაიზარდოს ფიზიკურ პირთა და საწარმოთა რეალური შემოსავლები, ამაღლდეს საგადასახადო კულტურა (რომელიც მოქმედებს გადასახადების ამოღების ეფექტურობაზე), სრულყოფილი გახდეს საგადასახადო კანონმდებლობა და საგადასახადო სამსახურების საქმიანობა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში ერთ–ერთი მნიშვნელოვანია საგადასახადო შემოსავლები, რომელიც სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით ფორმირების ძირითადი წყაროა.

თავი 2 საქართველოს საგადასახადო სისტემის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, მათი დაძლევის გზები

2.1 საქართველოს საგადასახადო სისტემის ძირითადი მახასიათებლები, მათი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა და სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის გამართულობასა და სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკაზე. გამომდინარე იქიდან, რომ გადასახადები სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკური საფუძველი და ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა, ფისკალურ დანიშნულებასთან ერთად, გადასახადები ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მძლავრ მექანიზმად გამოიყენება. ახდენს რა ერთობლივი შიდა პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის განაწილებას, გადასახადები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს, ასევე ეკონომიკური საქმიანობის ცალკეული სახეობებს შორის პროპორციებზე, საზოგადოებრივი კვლავწარმოების სტრუქტურაზე, სოციალურ სფეროზე, კაპიტალის დაგროვების პროცესზე, მოსახლეობის მოხმარებასა და გადახდისუნარიან მოთხოვნილებაზე.

ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში საგადასახადო მექანიზმის გამოყენების აუცილებლობა, იმითაცაა განპირობებული, რომ დღეს, პრაქტიკულად, არ არსებობს ქვეყანა, სადაც ეკონომიკაში შექმნილი დოვლათი თანაბრად იქნება განაწილებული, როგორც საზოგადოების წევრებს, ისევე ტერიტორიულ ერთეულებს შორის. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ქვეყანაში ფინანსური რესურსების მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილებაა, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მთავარ ინსტრუმენტად საგადასახადო რეზერვების გამოყენებით სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდება და აღნიშნული შემოსავლების მცირე რესურსების მქონე

ეკონომიკურ სუბიექტებზე (რეგიონი, მოსახლეობა) გადანაწილება – გამოყენებაა მიჩნეული.

ნებისმიერ ეპოქაში, სახელმწიფო ეკონომიკასთან წინააღმდეგობრივ ერთობლიობაში ფუნქციონირებს. თავისთავად, სახელმწიფო ეკონომიკა არ არის, ხოლო ეკონომიკა სახელმწიფო, თანაც, წარმოდგენელია სახელმწიფო ეკონომიკის გარეშე. კაცობრიობას მთელი თავისი არსებობის მანძილზე არ ქონია არცერთი შემთხვევა, როცა ეკონომიკა სახელმწიფოსაგან თავისუფალი იყო, ან სახელმწიფო ეკონომიკისაგან. სახელმწიფო და ეკონომიკა მათთვის დამახასიათებელი პრინციპებითა და კანონზომიერებებით ფუნქციონირებენ. თუმცა, ეკონომიკა საკუთარ თვითრეალიზაციას ახდენს სახელმწიფო პრინციპებისა და კანონზომიერებების (სამართლებრივი, ადმინისტრაციული და სახელისუფლებო) დახმარებით, ე. ი. ორგანიზაციით, რომელიც დამახასიათებელია სახელმწიფო მოწყობისათვის. ამასთან სახელმწიფოც არ გაურბის საკუთარი თვითრეალიზაციის პროცესში ეკონომიკის ორგანიზაციას.

არცერთი ქვეყნის ეკონომიკას ფუნქციონირება არ შეუძლია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის ინსტიტუციონალური ორგანიზაციის გარეშე. სახელმწიფო ყოველთვის ასრულებს სამეურნეო სისტემის კონკრეტული ქცევისაგან განსხვავებულ ფუნქციას. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სახელმწიფოებრივი ინსტიტუციონალური ორგანიზაციის გარეშე ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხია შემოსავლის, მისი წარმოების, განაწილებისა და მითვისების საკითხი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში და უფრო მეტად კი – გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. შემოსავლების გადანაწილების სახელმწიფო მექანიზმში უმნიშვნელოვანესი როლი საგადასახადო დაბეგვრას აკისრია. სახელმწიფო პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების დაწესებით ხაზინაში შემოსავლების მობილიზებას აწარმოებს, რათა ხელისუფლებამ სახელმწიფო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები დაფაროს. სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები, მათი განაწილება წყაროებისა და მიმართულებების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის სახით წარმოდგება. სახელმწიფო ბიუჯეტის პრობლემებს შორის უმთავრესი –

სახელმწიფო ბიუჯეტის ირგვლივ ატეხილი დაუსრულებელი, პერმანენტული, სოციალურ-ეკონომიკურ ბრძოლაა ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობის საკითხებზე, განსაკუთრებით კი, ხარჯების მიმართულებით. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი გარეგნულად მოჩანს ასე, სინამდვილეში ამ ბრძოლის უკან უფრო ღრმა, წინააღმდეგობრივი პროცესი იმალება, რაც გარდამავალი ეკონომიკის საბიუჯეტო ურთიერთობისათვისაა დამახასიათებელი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ეკონომიკის ცენტრალიზებულ-გეგმიანი სისტემის პირობებში საქართველოს საკუთარი საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო სისტემა არ გააჩნდა, რაც განპირობებული იყო ორი მიზეზით: 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს არ წარმოადგენდა და შესაბამისად დამოუკიდებელ საგადასახადო პოლიტიკას და საგადასახადო სისტემას არ საჭიროებდა; 2. ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის ამოღება ხორციელდებოდა ცენტრალიზებული წესით, ყოველგვარი საგადასახადო ბერკეტებისა და კანონმდებლობის უგულებელყოფით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა საქართველო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთულ გზას დაადგა და ხელისუფლების წინაშე მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემა მთელი სისრულით წარმოჩნდა, დღის წესრიგში თავისთავად საგადასახადო სისტემის შექმნის აუცილებლობის საკითხი დადგა. ახალი საგადასახადო სისტემის ფორმირება საკანონმდებლო ბაზის შექმნას მოითხოვდა, რომელიც საფუძვლად დაედებოდა საბაზრო ეკონომიკის შესაფერისი საგადასახადო სისტემის შექმნას.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ღონისძიებათა სისტემაში საგადასახადო სისტემის პარამეტრები სწორად არ იყო განსაზღვრული. საგადასახადო სისტემას არ გააჩნდა საკანონმდებლო ბაზა, საგადასახადო სისტემაში განხორციელებული შემდგომი რეფორმები არასრულყოფილი იყო. 1993 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა საგადასახადო სისტემის სრულყოფის კანონების პაკეტი (სულ რვა კანონი) მიიღო, რომლის ძირითადი მიზანი და დანიშნულება სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და სახელმწიფო ბიუჯეტში ფულადი რესურსების მაქსიმალური მობილიზება იყო.

სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად, საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაში, დადებითი როლი შეასრულა საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 13 ივნისს მიღებულმა პირველმა საგადასახადო კოდექსმა. თუმცა საგადასახადო კოდექსის ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან ორგანულ, სინქრონულ კავშირში არ იყო, მან საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებაში არსებითი გარდატეხა ვერ შეიტანა. ამასთან, აღნიშნულ საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა სათანადო ეფექტი ვერ გამოიღო. უფრო მეტიც, როგორც გადასახადის გადამხდელები, ისე გადასახადის ამკრეფნი სახელმწიფოს და ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს არ ითვალისწინებდნენ. საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ჩამოყალიბების საქმეში 2003 წლის ნოემბრიდან ქვეყანაში მოსული ახალი ხელისუფლების მიერ სერიოზული განაცხადი გაკეთდა 2004 წლის 22 დეკემბერის ახალი (მეორე) საგადასახადო კოდექსით, რომელმაც საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ასევე მნიშვნელოვანია 2010 წლის 17 სექტემბერს მიღებული საქართველოს მორიგი (მესამე) საგადასახადო კოდექსი. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისაგან დაზღვეული სამწუხაროდ ვერც ეს აღმოჩნდა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სისტემა ჯერ კიდევ სოციალიზმის დროს ჩამოყალიბდა. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, საქართველოში, სხვა ქვეყნების პოსტსოციალისტური განვითარების საერთო ტენდენციების მსგავსად, ეკონომიკის ლიბერალიზაციის შემდეგ, რამდენიმე წლის მანძილზე გადასახადების მოცულობა სისტემატიურად მცირდებოდა.

1998 წლის ფინანსურმა კრიზისმა საგადასახადო დაბეგვრაში დასაშვები ზღვრული დარღვევები გამოავლინა. საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა 1990–იან წლებში საქართველოს საგადასახადო სისტემის განვითარების უზრუნველყოფაში დაშვებული სტრატეგიული შეცდომები, რომელიც მიემართებოდა უდეფიციტო ბიუჯეტის უზრუნველსაყოფად საგადასახადო ტვირთის გადიდებისაკენ, რაც სამეწარმეო საქმიანობას ეწინააღმდეგებოდა და მეწარმეთა საზიანოდ იყო მიმართული.

საქართველოში 2004 წლის დასაწყისიდან შეიცვალა საგადასახადო რეფორმის კონცეფცია. აღიარეს საგადასახადო დაბეგვრის ნეიტრალიზების აუცილებლობა, რომლის არსი იმაშია, რომ არ მოხდეს ზემოქმედება მეწარმის ქცევის მოტივებზე, მისი საქმიანობის სახეობის შერჩევაზე და შესაბამისად, კაპიტალის დაბანდებაზე. საგადასახადო დაბეგვრის ასეთი პრინციპი წარმატებით ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებში. საქართველოს საგადასახადო სისტემა ეყრდნობა მკაცრად განსაზღვრულ ფისკალურ პოლიტიკას, ანუ იყენებს გადასახადების მხოლოდ ფისკალურ ფუნქციას, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შევსებას სტაბილური გადასახადებით და ცენტრალიზებული გზით, რაც სახელმწიფოს აქცევს უმსხვილეს ეკონომიკურ სუბიექტად. ერთი შეხედვით, ასეთი საგადასახადო პოლიტიკა მისაღები და რეალური უნდა იყოს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მკაცრად ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა ხელს უწყობს საგადასახადო შემოსავლების მოზიდვას სახელმწიფო ბიუჯეტში, მაგრამ თუ მას თან არ სდევს საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ფუნქციების გამოყენება, ანუ საგადასახადო განაკვეთების ოპტიმუმის განსაზღვრა, ეროვნული მეურნეობის ზოგიერთ დარგში განაკვეთების შემცირება, მაშინ თანდათანობით მცირდება საგადასახადო ბაზა და შესაბამისად, მცირდება გადასახადების წილი საბიუჯეტო შემოსავლებში, თუმცა გარეგნულად აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ზრდის ტენდენციას შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

საგადასახადო განაკვეთების შემცირებით სახელმწიფო შექმნის ახალ, დამატებით სტიმულებს ფინანსური რესურსების გასაფართოებლად, რითაც ქვეყნის საგადასახადო სისტემა უზრუნველყოფს წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და საბოლოო ჯამში კი საგადასახადო ბაზის გაფართოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობები დაეცემა. შეიზღუდება საგადასახადო ბაზა, რითაც ბიუჯეტის დეფიციტის ხანგრძლივი შენარჩუნების პირობები შეიქმნება. საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი ინსტრუმენტების მოქნილად გამოყენება ხელსაყრელ პირობებს ქმნის სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ამასთან, ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების დაწესებით საწარმოს განკარგულებაში

დარჩენილი მოგების ნაწილით მას შეუძლია გააფართოვოს საწარმოო სიმძლავრეები, დანერგოს წარმოებაში უახლესი ტექნიკა და გახდეს კონკურენტუნარიანი. ამასთან, საჭიროა აუცილებელი საგადასახადო შეღავათების დაწესებისათვის ამოსავალ პუნქტად იქცეს წარმოების მიზნობრიობა და წარმოების განვითარების დონე. რაც უფრო დაბალია წარმოების დონე, მიზანშეწონილია, უფრო გაიზარდოს საწარმოებისთვის საგადასახადო შეღავათები, რათა მათ განკარგულებაში დარჩეს, რაც შეიძლება მეტი ფინანსური რესურსი წარმოების მასშტაბების შემდგომი გაფართოებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის.

გადასახადების განაკვეთების დადგენისას აუცილებელი მომენტი საგადასახადო ოპტიმუმის დაცვა, რაც გულისხმობს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსებასა და გადასახადის გადამხდელთათვის შემოსავლების იმ ნაწილის დატოვებას, რომელიც წარმოების მასშტაბების გაფართოებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს, რაც დღეს ჩვენი ქვეყნის უმთავრეს და უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს.

ქვეყნის საგადასახადო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური პროცესების რეგულატორი უნდა იყოს, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს საგადასახადო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების რეალიზება და შეთანაწყობა. ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკა ხელს შეუწყობს ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური ამოცანის წარმატებით განხორციელებას, და ეს მაშინ მიიღწევა, როდესაც საგადასახადო პოლიტიკა ერთიანი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი გახდება. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია საგადასახადო რეფორმების კომპლექსურად გატარება და თუ, ქვეყანაში არ შეიქმნა ბიზნესის ლიბერალიზაციის ხელსაყრელი პირობები, ვერ მივაღწევთ ეკონომიკური ზრდის ოპტიმალურ ტემპებს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფა სწორედ უშუალო კავშირშია ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება – განხორციელებასთან, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის შიდა რესურსების გამოვლენასა და შიდა ბრუნვაში ჩართვას, საგადასახადო სისტემის ადმინისტრირებით გადასახადების

გადამხდელთა მხრიდან თავის არიდების ფაქტების აღმოფხვრას, კორუფციის სრულად დაძლევის.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითად მიმართულებებს თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს:

- საგადასახადო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- საგადასახადო სისტემის მაქსიმალურად გამარტივება;
- პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ოპტიმალური შეთანაწყობა;
- საგადასახადო განაკვეთების გონივრული შემცირებით საგადასახადო პრესინგის შესუსტება;
- ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის სრულყოფა - ინფლაციური პირობების გათვალისწინებით და საარსებო მინიმუმის ანალიზით დაუბეგრავი მინიმუმის დაწესება;
- საგადასახადო დაბეგვრის პროცესში სამეურნეო სუბიექტების იმ რეალური დანახარჯების მაქსიმალურად გათვალისწინება, რაც სამეურნეო საქმიანობასთანაა დაკავშირებული;
- საქონელმწარმოებელზე, მომხმარებელსა და კაპიტალზე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურად გადანაწილება.

2.2 საგადასახადო სისტემის მართვის ორგანიზაცია და მისი სრულყოფის ღონისძიებები

ქვეყნის ეფექტური ფინანსური პოლიტიკის განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, საგადასახადო სისტემაში საგადასახადო დაბეგვრის მართვის ორგანიზაციაზე. იგი მუდმივი კომპლექსური პროცესია, რომელშიც გადასახადები გათვალისწინებულია, როგორც მართვის ობიექტი და გადასახადები, როგორც რეგულირების ინსტრუმენტი. საგადასახადო დაბეგვრა, ერთის მხრივ, არის საფინანსო და საგადასახადო სისტემის ადმინისტრაციების აპარატის მუშაკთა მიზანმიმართული საქმიანობა ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების

ფორმირების პროცესების მართვაში, რომელიც იქმნება გადასახადების ანგარიშზე და ამ პროცესებისადმი კონტროლის საქმეში, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ამ სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სისტემების მართვა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ცალკეულ ეტაპზე საგადასახადო სისტემის მართვა სისტემატურად იცვლება და იგი თანმიმდევრულად სრულყოფილი ხდება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს საგადასახადო სისტემამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოს დამოუკიდებელი საგადასახადო პოლიტიკისა და სისტემის ფორმირება. საწყის ეტაპზე ეს პროცესი წინასწარ შემუშავებული პროგრამის გარეშე მიმდინარეობდა. საგადასახადო სისტემის პირდაპირმა კოპირებამ იმ დროისათვის საქართველოს საგადასახადო სისტემის არაეფექტურობა და სიტლანქე განაპირობა, წარმოშვა მრავალი წინააღმდეგობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა დღესდღეობით ჩამოყალიბებულია, თუმცა პრობლემები ისევ არსებობს.

დამაჯერებელი და ეფექტური უნდა იყოს სხვადასხვა გადასახადის სიდიდე. საგადასახადო სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი ფისკალურ მონიტორინგს ენიჭება.

ფისკალური მონიტორინგი –გადასახადების შემოღების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლის, მათი გადახდის ყოველმხრივი, ღრმა გამოკვლევა და საგადასახადო შემოსავლების ხარჯვის შესწავლაა. ასეთი სახის შესწავლა ხასიათდება შესაბამისი სამეცნიერო–პრაქტიკული აღწერილობით საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისათვის რეკომენდაციების მეშვეობით. ფისკალური მონიტორინგი შეუძლიათ აწარმოონ საგადასახადო ადმინისტრაციის მოქმედმა წარმომადგენლებმა, გადასახადის გადამხდელების დამოუკიდებელმა ასოციაციებმა, აუდიტორული სამსახურების გაერთიანებებმა. ქვეყნის საგადასახადო სისტემის ოპტიმალურ რეჟიმში ფუნქციონირებას ხელს უშლის ერთიანი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის არ არსებობა, საბიუჯეტო – საგადასახადო პოლიტიკის ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგებთან მოწყვეტით ფუნქციონირება. მიზანშეწონილია განხორციელდეს:

- ინტეგრაციულ ეკონომიკურ პროცესთა განვითარების სტიმულირება სახელმწიფოებს შორის;

- დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისობა მინიმალურ სამომხმარებლო კალათის დონესთან;
- გადასახადის გადამხდელისა და გადასახადის აკრეფისათვის პარტნიორული ურთიერთობის მიღწევა, რომლის ამოსავალი წინაპირობა იქნება საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები და არა ადმინისტრირება;
- საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებს შორის თანაფარდობის უზრუნველყოფა პირდაპირი გადასახადების სასარგებლოდ;
- საგადასახადო სისტემის მუშაკთა ქმედითი სტიმულირების წესების დანერგვა;
- გადამხდელთა ელექტრონული მომსახურებისა და კონტროლის სისტემის შემდგომი სრულყოფა და დახვეწა.

ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას შეუძლია მნიშვნელოვანწილად შეუწყოს ხელი სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას.

საგადასახადო მენეჯმენტის პრაქტიკა, „ბიზნესის“ და „ბიუჯეტის“ სფეროების სუბიექტებს შორის თანაზომიერი საგადასახადო უფლებისა და პასუხისმგებლობის დადგენის თვალსაზრისით, პროგრამული დოკუმენტის შემუშავებისა და მიღების საშუალებას იძლევა.

საგადასახადო ვალდებულებებისა და მართვადი კომპლექსების შესრულების დროს სახელმწიფო–საგადასახადო მენეჯმენტის ობიექტს წარმოადგენს „ბიზნესის“ სფეროდან „ბიუჯეტის“ სფეროში ფინანსური რესურსების ლეგიტიმური ნაკადი, როგორცაა წინასწარი ინვესტიციებისა და სხვა საგადასახადო კრედიტების მიღების დროს სახელშეკრულებო ურთიერთობები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის დებულების თანახმად, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო სანქციის გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია ლეგიტიმური კონტროლის მოქმედებით.

მენეჯმენტის საგადასახადო მართვის ობიექტების საგნის განსაზღვრის დროს გადასახადებით დაბეგვრის მართვის პროცესის შინაარსი იქიდან უნდა გამოდიოდეს, რომ საგადასახადო მენეჯმენტი მართვის საერთო თეორიის ნაწილს წარმოადგენს. როგორც საერთო მენეჯმენტი, ისიც უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკურ და სოციალურ–ფსიქოლოგიურ მეცნიერებას. მას საფუძვლად უნდა ედოს მართვის სისტემური

მიდგომისა და ანალიზის საერთო პრინციპები და ფუნდამენტალური დებულებები. ცნობილია, რომ მენეჯმენტის თეორიის მართვა, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მის ძირითად ფუნქციებთან: დაგეგმვასთან, რეგულირებასთან, ანალიზსა და კონტროლთან, ხოლო მეორე მხრივ, განიხილება საქმიანობის, როგორც განსაკუთრებული სახე, ადამიანების ხელმძღვანელობის განხორციელებაზე მიმართული.

მართვის თეორიაში დაგეგმვასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კიდევ ერთ ფუნქციას გამოყოფენ – რეგულირებას, რომელიც სახელმწიფო–საგადასახადო მენეჯმენტის ყველაზე უფრო მობილური სფეროა. მართვის თეორიაში რეგულირების ფუნქცია უკავშირდება საგეგმო დავალებების რეალიზაციის ხერხების დეტალურ შემუშავებას და მათ გამოყენებაზე მიმართული მარეგულირებელი ზემოქმედების შექმნას.

რეგულირება არა მარტო იმიტომ არის აღიარებული, რომ დეტალურად დაასაბუთოს რესურსების რეალიზაციის მეთოდებისა და დროის მიხედვით მიღებული გეგმის ვარიანტი, არამედ გამოავლინოს, ხოლო შემდეგ დააფიქსიროს გეგმის პარამეტრების ასეთი ერთობლიობა. გადასახადებით დაბეგვრის მართვის პრობლემატიკის ფარგლებში რეგულირება განხილულ უნდა იქნეს უშუალოდ ამ პოზიციიდან გამომდინარე, ანუ მართვის პროცესის როგორც შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიმართულია კანონმდებლობით დამტკიცებული საბიუჯეტო–საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფაზე და მათ შესაბამისად მიღებულ საგადასახადო კონცეფციაზე. მიღებული საგადასახადო კონცეფციის ჩარჩოებში საბიუჯეტო–საგადასახადო დავალების შესრულების მიხედვით ზომების შემუშავება და რეალიზაცია გადასახადებით დაბეგვრის სისტემის შიდა საქმე და მისი მმართველი ორგანოს პირდაპირი მოვალეობაა. საგადასახადო პრაქტიკა მუდმივად ასაბუთებს, რომ სახელმწიფო ხაზინის საგადასახადო შემოსავლებით უზრუნველყოფის პირობებში (გადასახადებით დაბეგვრის ფისკალური სისტემა) აუცილებელია „ბიზნესის“ სფეროს სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების დაცვა, მართვის ფართო საინვენსტიციო შესაძლებლობების უზრუნველყოფით (გადასახადების დაბეგვრის სისტემის

მარეგულირებელი ფუნქცია). გადასახადებით დაბეგვრის ასეთი ფუნქციონალური დატვირთვისათვის ორივე პოლუსს საგადასახადო კონტროლი მოიცავს.

საგადასახადო ადმინისტრაციის ეფექტური მაკონტროლებელი მოქმედება აუცილებელია, როგორც სახელმწიფოს შემოსავლების ფორმირებისას, ასევე ჰორიზონტალურად (დარგების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შიგნით) და ვერტიკალურად (ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების) ფინანსური (ფულადი) ნაკადების რეგულირების დროს.

საგადასახადო კონტროლი აუცილებელია აგრეთვე საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე „ბიზნესის“ და „ბიუჯეტის“ სფეროების ინტერესების შეთანხმების დროსაც. საგადასახადო კონტროლი უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფოს შიდა ფისკალურ ინტერესებს, ასევე საერთაშორისო დონეზე მის ინტერესებსაც.“

საქართველოს სამეწარმეო საქმიანობისათვის საგადასახადო მენეჯმენტი განხილული უნდა იქნეს, როგორც ახალი. ამიტომაც მეურნეობის (სამეურნეო საქმიანობის) საბაზრო საფუძვლების ჩამოყალიბება ვრცელდება ყველა სამეურნეო სუბიექტზე, მათ შორის ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის ჩათვლით, რომელიც მოიცავს ქვეყნის ფულადი მეურნეობის არსებით და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სფეროს, იგი საგადასახადო ნაკადების მართვის მენეჯმენტის პრაქტიკის გავრცელებას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო მენეჯმენტს ფინანსური რესურსებისა და ნაკადების იმ ნაწილთან აქვს კავშირი, რომელიც მიეკუთვნება სავალდებულო გადასახადს. მისი განხორციელების წესი საგადასახადო კანონმდებლობაში მკაცრად არის რეგლამენტირებული.

გადასახადის გადამხდელის მხრიდან დაბეგვრაში საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობა, არადროული ან არასრული შესრულება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საგადასახადო სამართალდარღვევაა, ამასთან ხშირად გადასახადების გადამხდელთა მხრიდან გადასახადის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის, არადროული, ან არასრული შესრულების ერთ-ერთ საფუძველს საგადასახადო კანონმდებლობის სხვადასხვა სახის არასრულყოფილებაც წარმოადგენს, რაც საბოლოო ჯამში გადასახადიდან თავის არიდების საფუძველი ხდება. მათ რიცხვში შედის გადასახადებით დაბეგვრის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ფორმულირებული

საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების არაერთგვარი მნიშვნელოვანი განმარტების შესაძლებლობა, ტექნიკური შეცდომები, მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული დებულებები გათვალისწინებული ნორმების არასრულყოფილი, არაერთგვაროვანი განმარტება დაა.შ.

აღნიშნულთაგან განსაკუთრებული მნიშვნელოვანია საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების არაერთგვარ მნიშვნელოვნად განმარტების შესაძლებლობა, იმდენად, რამდენადაც საქართველოს სინამდვილეში არ არის დაძლეული ის პრობლემა, რომ კანონი ერთმნიშვნელოვნად იკითხებოდეს და იგი ერთნაირად გასაგები იყოს ყველასთვის. პირველ რიგში, როგორც გადამხდელისთვის, ისე თვით მაკონტროლებლისათვის, რათა შემდგომში აღმოფხვრილ იქნეს მაკონტროლებელთა მიერ მათი გადამხდელთა ინტერესების საზიანოდ სხვადასხვაგვარი ინტერპირების და გამოყენების შესაძლებლობა. საჭიროა ამ მიმართულებით გაზიარებულ იქნეს ევროპული გამოცდილება, მაგალითად გერმანული კანონმდებლობა, რომელიც მთლიანად კოდექსურ სისტემაზეა აგებული, ანუ წვრილმან დეტალებამდე კანონშია გაწერილი. შესაბამისად, ესა თუ ის ტექნიკური საკითხი და ამა თუ იმ საკითხის ინტერპირება, რეგულირება ადამიანურ ფაქტორზე, მინისტრის გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული. ცნობილია, რომ საქართველოში ე. წ. ნაპოლეონის პრინციპით ვადგენთ კანონმდებლობას, ანუ კანონი იწერება, რაც შეიძლება გრძლად და ბუნდოვნად, რაც რიგ შემთხვევებში მაკონტროლებლებს საშუალებას აძლევს იყენენ სუბიექტურები თავიანთ გადაწყვეტილებებში. რა თქმა უნდა უმჯობესია, ყველა საკითხი თავად კანონით იყოს დარეგულირებული, ტექნიკური საკითხები თუ არა, ის მაინც იყოს ცნობილი, თუ კონკრეტულად რა სახის ეკონომიკურ საქმიანობაზე არ გავრცელდება ეს ნორმა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების დღიდან, გადასახადების დაბეგვრის სისტემაში საგადასახადო კონტროლის ფუნქციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. სახელმწიფო საგადასახადო კონტროლი დაკისრებული აქვთ საგადასახადო ორგანოებს (შემოსავლების სამსახურს). ამ სამსახურებს ევალებათ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლის ორგანიზაციისა და მისი ცხოვრებაში გატარების ვალდებულება, გადასახადების გაანგარიშების

სისწორე, შესაბამის ბიუჯეტში გადასახადების შეტანის სისრულე და დროულობა, აგრეთვე საგადასახადო ორგანოების კომპეტენციის ფარგლებშია საქართველოს სავალუტო კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან:

- დაიცვან გადასახადის გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები, გააკონტროლონ გადასახადების გადამხდელთა ანგარიშების სისწორე, სისრულე და დროულად გადახდა;
- აწარმოონ სავალუტო ოპერაციების კონტროლი შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით;
- აწარმოონ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება;
- გამოავლინონ და აღკვეთონ სამართალდარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია გადახდის გადაუხდელობასთან, ან ჩადენილია მოგების, შემოსავლის დამალვის, ან შემცირების და სხვა დასაბეგრი გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით ჩადენილი დანაშაული, აგრეთვე სხვა სამართალდარღვევები, რის შედეგადაც ზარალი ადგება სახელმწიფოს – გადასახადების გადაუხდელობისა, ან არასრულად გადახდის გამო.

საგადასახადო კონტროლის ფუნქციის განმახორციელებელი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციული რგოლებია შემოსავლების სამსახურის აუდიტის, საგადასახადო სამართალდარღვევათა პრევენციის, გადასახადების გადამხდელთა მომსახურების, გაფორმების, ეკონომიკური საზღვრის დაცვის, დავების და სხვა დეპარტამენტები. სწორედ მათზე მოდის საგადასახადო კონტროლის განხორციელების მიხედვით ღონისძიებათა უმეტესი წილი. მათ უფლებამოსილებაში შედის გადასახადების სისწორესა და, აგრეთვე ქვეყნის მიხედვით ბიუჯეტში გადასახადების შემოდინების მიმდინარე აღრიცხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო კონტროლი არის საგადასახადო კანონმდებლობისა და საგადასახადო წარმოების შესრულების (დაცვის)

უზრუნველყოფისათვის ნორმატიული აქტებით დადგენილი ხერხებისა და წესების ერთობლიობა

საგადასახადო კონტროლი თავისი შინაარსით მოიცავს:

- კონტროლის ქვეშ მყოფ ობიექტებზე დაკვირვებას;
- საგადასახადო სფეროში ტენდენციების პროგნოზირებას, აღრიცხვასა და ანალიზს;
- საგადასახადო დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ზომების მიღებას. დამნაშავეთა გამოვლენასა და პასუხისგებაში მიცემას.

საგადასახადო სისტემის ცვლილებებზე საუბრისას აუცილებელია განვიხილოთ დღეს არსებული სიტუაცია და ის ცვლადები და მონაცემები, რომლებზეც გავლენას ახდენს ის.


რეალური სექტორიდან მნიშვნელოვანია მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, სამუშაო ძალა და უმუშევრობა.

მთლიანი შიდა პროდუქტი

	ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	მშპ-ს რეალური ზრდა (%)
2008	19,075	2.3%
2009	17,986	-3.8%
2010	20,743	6.3%
2011	24,344	7.2%
2012	26,167	6.2%
2013	26,847	3.3%
2014	29,151	4.6%
2015	31,756	2.9%
2016	34,028	2.8%
2017	37,847	4.8%
2018	41,078	4.7%

წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ცხრილი 1


ცხრილი 1-ში მეორე სვეტში გამოსახულია საქართველოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური ოდენობები, რომელიც მოიცავს 2008-2018 წლების მაჩვენებლებს. მესამე სვეტში მოყვანილია მშპ-ს რეალური ზრდა გამოსახული პროცენტებში.



წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 8

მე-8 გრაფიკზე ასახულია პირველ ცხრილში მოცემული მონაცემები. ნომინალური მშპ 2008-2009 წლის კრიზისის შემდეგ მუდმივად იზრდებოდა. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი კი იცვლებოდა წლების განმავლობაში.

2009 წლიდან ნომინალური მშპ მუდმივად იზრდებოდა. მშპ ერთ სულ მოსახლეზე იზრდება 2009 წლიდან. 2008-2009 წლის შემცირება ქვეყანაში ომითაა განპირობებული. ნომინალურ მაჩვენებელზე გაცილებით მნიშვნელოვანია რეალური მშპ-ს პროცენტული ზრდა, რომელმაც 2011 წელს 7.2 %-ს მიაღწია. მნიშვნელოვანია, რომ 2015 წელს ერთ სულ მოსახლეზე მშპ მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასეთი დიდი ზრდა არ დაფიქსირდა მშპ-ს ზრდაში. ამ ცვლილებასთან კავშირი შესაძლოა 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერა იყოს. 2018 წელს კი კვლავ მნიშვნელოვანი ზრდა, 4.7% დაფიქსირდა. საგადასახადო სისტემასა და სიღარიბის დაძლევაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ეს ნაწილი იქნას გათვალისწინებული. რა ფორმით უნდა მოხდეს გადასახადების ოპტიმიზაცია რეალური მშპ-ს უფრო სწრაფი ზრდის მისაღწევად, რაც სხვა ქვეყნის ისტორიებიდანაც ჩანს, რომ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნის შემთხვევებში შესაძლებელია.




წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 9

ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისას ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ნაცვლად ხშირად გამოიყენება მშპ ერთ სულ მოსახლეზე. ეს ცვლადი რიგ შემთხვევებში უფრო მეტად წარმოაჩენს მშპ-ს ზრდა რამდენად რეალურია და საშუალებას იძლევა სხვა ქვეყნის მშპ-სთან შედარებისას გამოირიცხოს მოსახლეობის რაოდენობის ფაქტორი.

უმუშევრობა და სამუშაო ძალა


რეალურად, სამუშაო ძალის დაახლოებით ორი მესამედი თვითდასაქმებულია. ყველაზე მეტი თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაშია და მათი უმრავლესობა აწარმოებს პროდუქტს საკუთარი მოხმარებისთვის, რაც გასული ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ამ დარგის იგნორირებამ განაპირობა. საბოლოოდ, ქვეყანაში უმუშევრებისა და თვითდასაქმებულების რაოდენობა შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტია. ანალოგიურად, განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ვერ მოგვცა სასურველი შედეგი საქსპორტო კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით. უმნიშვნელო იყო ექსპორტის დივერსიფიცირება; იმპორტის მოცულობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ექსპორტის მოცულობის ზრდას, რამაც უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს ზრდა გამოიწვია. ეს კი ქვეყნისთვის სერიოზულ მაკროეკონომიკურ რისკს წარმოადგენს.



წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 10

უმუშევრობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია საქართველოში, 2018 წელს ის სამუშაო ძალის 12.7%-ს შეადგენდა. ამ მაჩვენებლის შემცირება ყოველი პოლიტიკური ძალის დაპირებას წარმოადგენდა, თუმცა ეს კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქვეყანაში. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ 12.7% მაჩვენებელი სრულად არ ასახავს არსებულ ვითარებას, რადგან სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა უმეტესობა სამუშაოს მაძიებელია. ამ პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანია ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერება, რათა შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ საგადასახადო სისტემა ხელს უწყობდეს მცირე და საშუალო ბიზნესს, სტიმულს აძლევდეს საქმიანობის გასაფართოვებლად


გადასახადები და სახელმწიფო ვალი, ფისკალური სექტორი



წყარო - საქართველო სტატისტიკის ეროვნული ბიურო, გრაფიკი 11

გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ზრდა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის ეფექტური ზრდისათვის. გრაფიკი ნათლად წარმოაჩენს ამ ზრდის ტენდენციას. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, თუ რამდენად სწორად ხდება საგადასახადო ტვირთის გადანაწილება გადასახადის გადამხდელებზე. რისი გაკეთებაა შესაძლებელი მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად და ჯინის კოეფიციენტის შესამცირებლად.

2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების წილი საგადასახადო შემოსავლებში



წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, დიაგრამა 1

საგადასახადო შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი დღგ-ზე მოდის და 42%-ს ცდება. შემდეგი კი საშემოსავლო გადასახადია 30.9%-ით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020-ში აღწერილია შემდეგი ფისკალური წესები :

„საქართველოს მთავრობის სტრატეგიული ხედვის უმთავრეს პრინციპს სანდო და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობის რეპუტაციის შექმნა წარმოადგენს. საქართველოს აქვს ფისკალურ პოლიტიკაზე თვითდაწესებული და ხანგრძლივი შეზღუდვა საბიუჯეტო აგრეგატების რიცხოვრივი ლიმიტების სახით. წესების სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობამ ზოგიერთი ფისკალური წესი კანონმდებლობაში ასახა.

საქართველოს ფისკალური სისტემის 4 ფისკალური წესი ნათლად არის გაწერილი კანონმდებლობაში:

1. საბიუჯეტო ბალანსის წესები - ორგანული კანონი განსაზღვრავს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის ზედა ზღვარს მშპ-ის 3%-ის ოდენობით.
2. ვალის წესები - საჯარო სექტორის ვალი, როგორც მუდმივი პროცენტული მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებით.
3. ხარჯვის წესები - ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილისთვის დადგენილია ზედა ზღვარი მშპ-ის 30%-ის ოდენობით.
4. შემოსავლების წესები - ორგანული კანონი კრძალავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას, გარდა აქციზისა.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა ხელმძღვანელობს სხვა ფისკალური წესებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, მაგრამ ფისკალური პოლიტიკის ძირითად პრინციპებად მიიჩნევა:

1. ფისკალური დეფიციტის კლებადი ტენდენცია;
2. საჯარო ინვესტიციების 10%-ზე მაღალი რეალური ზრდის ტემპი;
3. დაუგეგმავმა შემოსავალმა არ უნდა მოახდინოს გავლენა სტრუქტურულ დეფიციტზე.


გასული საუკუნის 60-იანი და 70-იანი წლების ბოლოს სინგაპურის მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა უცხოური კომპანიების მოზიდვის და ტრენინგებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით. ეს მოდელი შემუშავებული იყო „ტატას“ (ინდოეთი), „ფილიპსის“ (ჰოლანდია) და „როლეის“ (გერმანია) მიერ. ტრენინგის მოდელი ემყარებოდა გერმანულ „შეგირდობის სქემას“, ფირმებისთვის განკუთვნილი შეღავათები მოიცავდა გადასახადებისგან გათავისუფლებულ გადარიცხვებს, სესხებზე დაბალ პროცენტს, მიწას გონივრულ ფასად, ფირმებსა და მთავრობას შორის საოპერაციო ხარჯების გაზიარებას, უარის უფლებას (როლეის შემთხვევაში, პოტენციურ კონკურენტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ სინგაპურში ოპერირება, თუ როლეი გადაწყვეტდა, რომ არ ეწარმოებინა მოცემული კონკრეტული პროდუქტი). ამასთან, მიუხედავად ფირმების პრიორიტეტისა, სამუშაოზე აყვანათ მათი ცენტრის კურსდამთავრებულები, მათ მეტი ადამიანისთვის უნდა ჩაეტარებინათ ტრენინგი, ვიდრე გეგმავდნენ რომ აყვანათ სამუშაოდ. ინდივიდუალურ კომპანიებზე

ყურადღების შეჩერება არ იქნებოდა საკმარისი ქვეყნის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ამიტომ მოდელი განვითარდა იმგვარად, რომ მოეცვა პარტნიორული ურთიერთობები სინგაპურსა და ისეთ ქვეყნებს შორის, როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი და იაპონია. დიდი მოცულობის პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა განაპირობა სინგაპურში გამოცდილების დაგროვება და ინოვაციური დარგების განვითარება. კორეა იყენებდა პიონერების შერჩევის მსგავს სტრატეგიას და ეხმარებოდა მათ მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. მთავრობამ დაგეგმვაში, დაფინანსებაში და ტრენინგების დარეგულირებაში შეასრულა დომინანტური როლი 60-იან და 70-იან წლებში. თუმცა, პასუხისმგებლობა მომსახურების მიწოდებაზე გადაეცა კერძო სექტორს. პროფესიულ ტექნიკური განათლება და ტრენინგი იყო კორეის სტრატეგიის ცენტრალური ნაწილი. არამართო არსებობდა მოთხოვნა ტექნიკურ უნარ-ჩვევებზე, არამედ სისტემა, ასევე, ადამიანებს აძლევდა საშუალებას, გაეგრძელებინათ უმაღლესი განათლება, ე.ი. ის კონკურენციას არ უწევდა უმაღლეს განათლებას. თანდათანობით პროფესიულ ტექნიკურმა განათლებამ, როგორც საბოლოო წერტილმა, უპირატესობა დაუთმო უმაღლეს განათლებას.

ინფლაცია

ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, გაცვლითი კურსის მოქნილობა და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის გაუმჯობესება ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის წარმატებით განხორციელების წინაპირობაა.

საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას. მონეტარული პოლიტიკის მთავარი მიზანი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში შენარჩუნებაა. საქართველოს მთავრობას გაცნობიერებული აქვს, რომ სტაბილური ფასები, რომელსაც დაბალი, ერთ ნიშნულზე მყოფი ინფლაციის მაჩვენებელი განსაზღვრავს, მდგრად ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. გრძელვადიანი სასურველი ინფლაციის მაჩვენებელი 3%-ია. საქართველოს ეროვნული ბანკი 2015 წლამდე ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის 5%-მდე შემცირებას, 2017-2018 წლებისთვის კი ზემოაღნიშნული სასურველი მაჩვენებლის მიღწევას გეგმავდა.




წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 12

მე-12 გრაფიკში გამოსახული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს გავანალიზოთ რამდენად მოახერხა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დასახული მიზნების განხორციელება. 2017 წლის პირველ კვარტალში ინფლაცია 5.5 პუნქტს შეადგენდა. ფაქტობრივად ამ დიაპაზონში იყო ინფლაციის მაჩვენებელი მთელი წლის განმავლობაში. 2018 წელს ინფლაცია 2.2-სა და 2.8 % შორის მერყეობდა, რაც ეროვნული ბანკის მიზანს ემთხვეოდა. 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით ინფლაციის ნიშნული 3%-ზე ავიდა და ზრდისკენ სვლას განაგრძობს, რასაც ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა გარემოება უწყობს ხელს.

სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო ვალის ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია. გაცვლით კურსთან და რეფინანსირებასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად საქართველოს მთავრობის ვალის მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს ვალის მთლიან მოცულობაში

ეროვნულ ვალუტაში გამოსახული ვალის წილის ზრდას. ამის მიღწევა სამთავრობო ობლიგაციების ვადიანობის გაზრდით და ამ ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი. საქართველოს მთავრობა უფრო მეტად დაეყრდნობა სესხის შიდა ბაზარს, თუმცა, იმგვარად, რომ სესხების გაზრდამ არ შეზღუდოს კერძო სექტორის დაკრედიტება.



წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გრაფიკი 13

საგარეო ვალის მიმართება მშპ-სთან მაღალია. საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია სტაბილური გახადოს და შემდგომ შეამციროს ეს მაჩვენებელი. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა შეინარჩუნებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ისეთ მაჩვენებელს, რომელიც საშუალოვადიან პერიოდში უზრუნველყოფს საგარეო ვალის სტაბილურობას, გრძელვადიან პერიოდში კი მის შემცირებას განაპირობებს.

სახელმწიფო ბიუჯეტი და შეზღუდვები

დაბალანსებული ბიუჯეტის მქონე სახელმწიფო ამცირებს გადასახადებს და ქმნის ბიუჯეტის დეფიციტს. რა მოუვა ვალს დროთა განმავლობაში? საჭირო გახდება თუ არა სახელმწიფოს მიერ გადასახადების გაზრდა მომავალში?? რა სიდიდით ზრდა იქნება საჭირო?

$$\text{დეფიციტი} = rB_{t-1} + G_t + T_t$$

B_{t-1} - სახელმწიფო ვალი $t-1$ წლის ბოლოს, ანუ t წლის დასაწყისში.

r - საპროცენტო განაკვეთი

G_t - t წლის განმავლობაში საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები.

T_t - გადასახადებს გამოკლებული ტრანსფერტები t წლის განმავლობაში

ბიუჯეტის დეფიციტი უდრის დანახარჯებს, რომელიც მოიცავს ვალზე საპროცენტო გადასახადებს, გამოკლებული წმინდა გადასახადები.

$$B_t - B_{t-1} = rB_{t-1} + (G_t - T_t)$$

მიმდინარე და მომავალი გადასახადების შედარება

გადასახადების ერთწლიანი შემცირების გავლენა ვალისა და მომავალი გადასახადების ქცევის წესზე.

დავუშვათ, პირველი წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტი დაბალანსებულია და საწყისი ვალი ნულის ტოლია. ვთქვათ, პირველი წლის მანძილზე სახელმწიფომ შეამცირა გადასახადები. პირველი წლის ბოლოს ვალი B_1 -ის ტოლი იქნება.

განვიხილოთ 3 ალტერნატივა :

- სრული დაფარვა მეორე წელს
- სრული დაფარვა t წელს
- ვალის სტაბილიზაცია t წელს

სრული დაფარვა მეორე წელს

ბიუჯეტის შეზღუდვა მეორე წლისთვის შემდეგ სახეს მიიღებს :

$$B_2 = (1+r)B_1 + (G_2 - T_2)$$

თუ ვალი მეორე წლის განმავლობაში სრულად დაიფარება, მაშინ ის მეორე წლის ბოლოს ნულის ტოლი იქნება. $B_2 = 0$. B_1 -ის 1-ით ჩანაცვლებით, $B_2 = 0$ -ით ჩანაცვლებითა და წევრების გადაადგილებით ვიღებთ :

$$T_2 - G_2 = (1+r)1$$

იმისთვის, რომ მეორე წლის მანძილზე ვალი სრულად დაიფაროს, სახელმწიფომ $(1+r)$ -ის ტოლ პროფიციტს უნდა მიაღწიოს. ამის გაკეთება 2 გზით არის შესაძლებელი : დანახარჯების შემცირებით ან გადასახადების გაზრდით.

სრული დაფარვა T წელს

ახლა დავუშვათ, რომ სახელმწიფომ ვალის დაფარვა t წლისათვის გადაწყვიტა. ასე რომ, მეორე წლიდან $t-1$ წლამდე პირველადი დეფიციტი ნულის ტოლია, გადასახადები ემთხვევა ხარჯებს, რომელშიც ვალზე საპროცენტო გადახდები არ შედის.

მეორე წლისათვის პირველადი დეფიციტი ნულის ტოლია. თუ გავითვალისწინებთ ამასში ვიღებთ, რომ მე-2 წლისათვის ვალის სიდიდე შეადგენს

$$B_2 = (1+r)B_1 + 0 = (1+r)1 = (1+r)$$

სადაც ტოლობის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულია დაშვება იმის შესახებ, რომ $B_1 = 1$.

პირველადი დეფიციტი მესამე წლისათვისაც ნულის ტოლია, ამიტომ მესამე წლის ბოლოს ვალის სიდიდე გახდება

$$B_3 = (1+r)B_2 + 0 = (1+r)(1+r)1 = (1+r)^2$$

თუ განვსაზღვრავთ ვალის მნიშვნელობას მე-4 და ა. შ. მომდევნო წლებისათვის, ცხადი გახდება, რომ ვიდრე სახელმწიფო ინარჩუნებს ნულოვან პირველად დეფიციტს, ვალი იზრდება საპროცენტო განაკვეთის ტოლი სიჩქარით და, მაშასადამე, $t-1$ წლის ბოლოსათვის მისი მნიშვნელობა იქნება :

$$B_{t-1} = (1+r)^{t-2}$$

იმის მიუხედავად, რომ გადასახადები მხოლოდ პირველ წელს შემცირდა, ვალი დროში ზრდას საპროცენტო განაკვეთის ტოლი ტემპით აგრძელებს. მიზეზი მარტივია: ნულოვანი პირველადი დეფიციტის მიუხედავად, ვალი ახლა დადებითია და, მაშასადამე, დადებითია ვალზე პროცენტული გადახდებიც. ყოველ წელს სახელმწიფომ იმაზე მეტი უნდა ისესხოს, ვიდრე მას ვალი გააჩნია, რათა არსებული ვალის მომსახურება საპროცენტო გადახდებით შეძლოს.

ბიუჯეტის შეზღუდვა t წლისათვის, რომლისთვისაც სახელმწიფო ვალის დაფარვას აპირებს, არის :

$$B_t = (1+r)B_{t-1} + (G_t - T_t)$$

თუ ვალი სრულად დაიფარება t წლის მანძილზე, მაშინ B_t (ვალი t წლის ბოლოს) ნულის ტოლი გახდება. ჩავანაცვლოთ B_t ნულით, B_{t-1} კი მისი მნიშვნელობით განტოლებიდან $B_{t-1} = (1+r)^{t-2}$. მივიღებთ:

$$0 = (1+r)(1+r)^{t-2} + (G_t - T_t)$$

იმისათვის, რომ ვალი დაფაროს, სახელმწიფომ t წლის მანძილზე უნდა შექმნას პირველადი პროფიციტი, რომელიც $(1+r)^{t-1}$ -ის ტოლია. თუ რეგულირება განხორციელდება გადასახადების საშუალებით, მაშინ პირველ წელს გადასახადების ერთი ერთეულით შემცირება t წლისათვის გადასახადების $(1+r)^{t-1}$ -ის ოდენობით ზრდას გახდის აუცილებელს.

- როცა სახელმწიფო ხარჯები უცვლელია, გადასახადების შემცირება საბოლოოდ მომავალში გადასახადების გადიდებით უნდა იყოს კომპენსირებული.
- სახელმწიფო რაც უფრო დიდი ხნით გადადებს გადასახადების გადიდებას ან რაც მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით მეტი უნდა იყოს გადასახადების საბოლოო ზრდა.

ვალის სტაბილიზაცია t წელს

განვიხილოთ დაშვება რა დროსაც სახელმწიფო მხოლოდ ვალის სტაბილიზაციას ახდენს. (ვალის სტაბილიზაცია ნიშნავს გადასახადებისა და ხარჯების ისეთ ცვლილებებს, როცა ვალი ამის შემდეგ უცვლელი რჩება).

დავუშვათ, სახელმწიფომ ვალის სტაბილიზაცია მეორე წელს გადაწყვიტა. ვალის სტაბილიზაცია მეორე წლიდან გულისხმობს, რომ ვალის მნიშვნელობა მეორე წლის ბოლოს და შემდგომი წლების ბოლოს ისეთივე იქნება, როგორც პირველი წლის ბოლოს იყო.

მეორე წლის ბიუჯეტის შეზღუდვა :

$$B_2 = (1+r)B_1 + (G_2 - T_2)$$

დაშვების თანახმად რომ ვალის სტაბილიზაცია მე-2 წლიდან უნდა მოხდეს - ადგილი აქვს $B_2 = B_1 = 1$. წინა განტოლებაში ამის გათვალისწინება მოგვცემს :

$$1 = (1+r) + (G_2 - T_2) , \text{ გარდაქმნით მივიღებთ}$$

$$T_2 - G_2 = (1+r) - 1 = r$$

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს პირველი წლის განმავლობაში აღებული ვალის შემდგომი ზრდა, სახელმწიფომ არსებული ვალის რეალური საპროცენტო განაკვეთის ტოლი პირველადი პროფიციტის წარმოქმნას უნდა მიაღწიოს. მან იგივე უნდა გააკეთოს მომდევნო წლებში: ყოველ წელს ბიუჯეტის პირველადი პროფიციტი საკმარისი უნდა იყოს საპროცენტო გადახდების დასაფარავად, რათა ვალის უცვლელი სიდიდე შენარჩუნდეს. ყოველი წლის ვალი პირველ წელს არსებულ 1 ერთეულის ტოლ ნიშნულზე რჩება. გადასახადები პირველი წლის შემდეგ იზრდება r -ით და ხანგრძლივად ასეთ მნიშვნელობას ინარჩუნებს; ასევე, ეკვივალენტურად, პირველი წლის შემდეგ სახელმწიფოს ბიუჯეტი პირველადად პროფიციტურია და პროფიციტის სიდიდე r -ის ტოლია.

იგივე ლოგიკა ვრცელდება, როდესაც სახელმწიფო ვალის სტაბილიზაციას t წლიდან იწყებს. როგორც კი სახელმწიფო სტაბილური გახდება, მან უნდა გაატაროს პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტის პირველადი პროფიციტი ვალის საპროცენტო გადახდების დასაფარავად იქნება საკმარისი.

დასკვნა:

- წარსული დეფიციტის მემკვიდრეობა უფრო მაღალი სახელმწიფო ვალია;
- ვალის სტაბილიზაციისათვის, სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას დეფიციტი;

- დეფიციტის აღმოფხვრისათვის, სახელმწიფომ ბიუჯეტის პირველად პროფიციტს უნდა მიაღწიოს, რომელიც არსებული ვალის საპროცენტო გადახდების ტოლი იქნება. ეს მუდმივად გაზრდილ გადასახადებს მოითხოვს.

თავი 3 გადასახადები, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი

3.1 შემოსავლების განაწილების უთანასწორობა საქართველოში

ისტორიული თვალსაზრისით, შემოსავლების უთანასწორო განაწილების პრობლემა წინა საუკუნეებშიც იდგა, დღესაც დგას და მომავალშიც იქნება. XX საუკუნეში მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების თანასწორობის დამყარების მიზნით ევროპაში და აშშ-ში მრავალი ღონისძიება გატარდა, მაგრამ დღესაც, კი აშშ-ში ამერიკელი ოჯახების 0,05% ფლობს ქვეყნად არსებული მთლიანი პირადი ქონების 35%-ს, მაშინ როცა უფრო "დაბლა" მყოფი ოჯახების 90%-ის ქონება შეადგენს მხოლოდ 30%-ს". ფაქტი ერთია, მოსახლეობის შემოსავლებში უთანაბრობა ამერიკაშიც არის და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც.

თანაბარი განაწილება უცხოა საბაზრო ეკონომიკური სისტემისთვის. ამის მიზეზად მეცნიერები, ქართველებიც და უცხოელებიც, მთელ რიგ ფაქტორებს ასახელებენ. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერები კემბელ რ. მაკკონელი და სტენლი ბრიუ შემდეგ ფაქტორებზე მიუთითებენ:

1. **ადამიანთა განსხვავებები უნარებში, კერძოდ ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში.** ინტელექტუალური უნარების მქონე ადამიანებს შეუძლიათ დაეუფლონ მაღალანაზღაურებად პროფესიებს.
2. **სწავლის და განათლების დონე.** ადამიანთა ერთი ნაწილი მიღებული განათლებით და პროფესიონალიზმით მაღლა დგას მეორე ნაწილზე. ამის შედეგათ მათი გამომუშავება უფრო მეტიც არის.
3. **პროფესიული გემოვნება და რისკი.** არის არასასიამოვნო სამუშაოები, რომელთა ანაზღაურება მაღალია, მაგრამ ყველა არ დათანხმდება მის შესრულებას. არის რისკიანი სამუშაოებიც, რომლებიც ასევე მაღალანაზღაურებადია.
4. **ქონების ფლობა.** ქონება ადამიანებს დიდ შემოსავალს აძლევს, განსაკუთრებით ფინანსური აქტივები - აქციები, ობლიგაციები და სხვა. ოჯახებს, რომელთაც ასეთი

ქონება გააჩნიათ, სიმდიდრე და შემოსავლებიც (დივიდენდები, პროცენტები, კურსთა შორის სხვაობით მოგება და ა. შ.) მეტი აქვთ.

5. **ბაზარზე ბატონობა.**

6. **”საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნა”,** ან პირიქით - უბედური შემთხვევა, მძიმე ავადმყოფობა, მარჩენალის სიკვდილი და ა. შ.

საქართველომ გასული წლების მანძილზე ეკონომიკური ზრდის ძლიერი საფუძველი შექმნა. გასულ ათწლეულში ქვეყანამ მიაღწია მშპ-ის ზრდის მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, რომელმაც პიკურ მნიშვნელობას მიაღწია 2007 წელს, როდესაც მან დაახლოებით 12 პროცენტი შეადგინა, სანამ ქვეყანას დაატყდებოდა კრიზისების ტრიუმფირატი, მათ შორის 2007 წლის მასობრივი დემონსტრაციები, 2008 წლის შუა ხანებში გლობალური ფინანსური კრიზისი და 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი რუსეთთან, რომელმაც დაასრულა ეკონომიკური ზრდის პროცესი. თუმცა საქართველომ სწრაფად შეძლო მდგომარეობის გამოსწორება აღნიშნული ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების შემდეგ და აღადგინა ზრდის სოლიდური მაჩვენებლები, თუ არ ჩავთვლით დროებით ვარდნას 2013 წელს. საქართველოს მთლიანი პროდუქტი იზრდებოდა საგარეო ვაჭრობისა და ტერიტორიული უთანასწორობების გაღრმავების პარალელურად. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში იმპორტის და ექსპორტის ღირებულება გაიზარდა. თუმცა ამ, ეკონომიკური და ვაჭრობის ზრდის, პერიოდში განსაკუთრებით იჩინა თავი ტერიტორიულმა უთანასწორობებმა საქართველოს რეგიონებში და მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.

მთლიანი რეგიონული შემოსავლის უთანასწორო განაწილების სიდიდე და უცვლელი სათანადოდ არ არის შეფასებული დედაქალაქის უპირატესობის მიხედვით. თბილისზე მოდის დაახლოებით ქვეყნის მოსახლეობის ერთი მესამედი და საქართველოს მშპ-ის ნახევარი. ქალაქი-რეგიონის შემოსავლის დონე ერთ სულზე თითქმის ორჯერ აღემატება ეროვნულ საშუალოს და სამჯერ მეტია, ვიდრე ყველაზე ჩამორჩენილი რაიონის მაჩვენებელი. მონაცემები, ასევე, მიუთითებს, რომ რეგიონული უთანასწორობები საკამოდ უცვლელია და მიდრეკილია გაღრმავებისკენ ეკონომიკური ზრდის პერიოდებში. გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში, კერძოდ აღმოსავლეთ ევროპის ასევე განსაკუთრებით მცირე ქვეყნებში, მაგალითად,

სლოვაკეთში, რუმინეთსა და ესტონეთში მნიშვნელოვანი განსხვავებები იყო ზრდის თვალსაზრისით, რისგანაც სარგებელს, ძირითადად, ქალაქი-რეგიონები იღებდნენ.

საქართველოს რეგიონების მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება და შეესაბამება შემოსავლების უთანასწორო განაწილებას. თბილისში დომინირებს მომსახურების სექტორი. კახეთი, პირიქით, გაცილებით მეტად არის დამოკიდებული პირველად დარგებზე (სოფლის მეურნეობა) და აგრობიზნესზე (ძირითადად, მეღვინეობა). ქვემო ქართლი და, შედარებით ნაკლებად, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი გაცილებით მეტად არიან ორიენტირებული სამრეწველო საქმიანობაზე, სავარაუდოდ, უდიდეს ბაზართან, დედაქალაქის რეგიონთან სიახლოვის გამო.

პროდუქტიულობის თვალსაზრისით, ყველაზე გამორჩეული რეგიონები და ისინი, რომლებმაც გადაინაცვლეს ეროვნული შემოსავლის იერარქიის ზედა დონეზე, ის რეგიონებია, სადაც მომსახურების (თბილისი და აჭარა) და მრეწველობის (ქვემოქართლი) დარგებია წარმოდგენილი. უღარიბესი რეგიონები (და ყველაზე არაპროდუქტიული), ჩვეულებრივ, აგრარული რეგიონებია. მონაცემები, ასევე, მიუთითებს აღმოსავლეთის და დასავლეთის გაყოფას, რომელიც თვალსაჩინო გამონაკლისის, თბილისის, გარდა, უპირატესობას ანიჭებს საქართველოს სანაპიროსთან ახლოს მდებარე რეგიონებს.

მოსახლეობაში მნიშვნელოვანი უმცირესობების ჯგუფების არსებობა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფიზიკური პირების და ფირმების პროდუქტიულობაზე. უმცირესობები შეიძლება იყოს სოციალურად, ეკონომიკურად ან პოლიტიკურად გამოყოფილი ჯგუფები, რომლებიც დგანან მნიშვნელოვანი ბარიერების წინაშე, შრომით ბაზართან წვდომის და უნარ-ჩვევების შეძენის თვალსაზრისით. საქართველოში არსებობენ უმცირესობების მნიშვნელოვანი ჯგუფები სამხრეთ და დასავლეთ რეგიონებში, აზერბაიჯანის და სომხეთის საზღვრებთან, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის (53 პროცენტი სომეხი მოსახლეობა) და ქვემო ქართლის (51 პროცენტი აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობა) რეგიონებში. სიღარიბის განაწილება, მოსახლეობის წილის მიხედვით შეფასებული საშუალო სამომხმარებლო ხარჯების 60 პროცენტის ქვევით, მიუთითებს აღმოსავლეთის

რეგიონისთვის შედარებით ძლიერი უპირატესობის მინიჭებაზე, თბილისის და გურიის გამოკლებით, და აღწევს მოსახლეობის 36 პროცენტს კახეთის რეგიონში.

სიღარიბით გამოირჩევიან საქართველოს ზოგიერთი ყველაზე ნაკლებად პროდუქტიული რეგიონები. ადგილმდებარეობების კონკურენტუნარიანობა და იქ წარმოდგენილი ფირმები არსებითი მნიშვნელობისაა რეგიონული ეკონომიკური განვითარებისთვის და დარგობრივი პოლიტიკის მთავარი საზრუნავია. ფირმა და მისი კონკურენციის უნარი მნიშვნელოვანწილად ხსნის რეგიონების და ქვეყნების განსხვავებულ ეკონომიკურ ეფექტიანობას.

გლობალურ ვაჭრობას, კონკურენტული ზეწოლის ზრდით, შეუძლია გაცილებით მაღალი ეფექტიანობა მოითხოვოს ფირმებისგან და აიძულოს ისინი, გაზარდონ ინვესტიციები ეფექტიანობის გამაუმჯობესებელ სფეროებში, როგორცაა მაგალითად, კვლევა და განვითარება და ახალი ტექნოლოგიები, რათა გაუმკლავდნენ გლობალურ გამოწვევებს.

ბუნებრივია, ფირმის და დარგისთვის დამახასიათებელი თავისებურებები ხსნის ფირმის სიცოცხლისუნარიანობის უნარს, პასუხობს გლობალური კონკურენციის გამოწვევებს და ზრდის ექსპორტის ეფექტიანობას. თუმცა, სულ უფრო მეტად ხდება ნათელი, რომ რეგიონების მახასიათებლები, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფირმების კონკურენტუნარიანობის ზრდაში და ეკონომიკურ განვითარებაში.

ფირმების კონკურენტუნარიანობის რუკაზე დატანით მკაფიოდ ჩანს გამორჩეული გეოგრაფიული დაყოფა საქართველოში, რასაც შეესაბამება ფირმების კონკურენტუნარიანობა და წარმოების კაპიტალტევადობა. კონკურენტუნარიანობის ინტერპრეტაცია, როგორც პროდუქტიულობის გადმოცემის უბრალოდ „პოეტური გზა“ რომლის ნაყოფიერების საზომი, კერძოდ, მთლიანი დამატებითი ღირებულება ერთ მუშაკზე, შეიძლება მოვიპოვოთ დარგობრივი აღწერის მონაცემებიდან. განსხვავება, პროდუქტიულობის თვალსაზრისით, თბილისსა და მცირე, ჩამორჩენილ სანაპირო რეგიონს, გურიას შორის ყურადსაღებია, პირველის პროდუქტიულობის დონე ხუთჯერ მეტია მეორის დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ფირმები, ზოგადად, უფრო პროდუქტიულები არიან, საშუალოდ, განსხვავებები ფირმების სიდიდის მიხედვით შედარებით მცირეა, გამონაკლისია შიდა ქართლში და მცხეთა -

მთიანეთში არსებული ფირმები. გასაკვირია ყველაზე მეტად პროდუქტიული რეგიონებისთვის, როგორებიცაა თბილისი, აჭარა და ქვემო ქართლი, მაგრამ მცირე და საშუალო სიდიდის ფირმები ყველაზე პროდუქტიულები არიან.

ქართული ფირმების საშუალო კაპიტალტევადობის გეოგრაფიას იგივე ტენდენციები ახასიათებს, რაც მათ პროდუქტიულობას. ფირმის მახასიათებლების ნაკრები წარმოადგენს მონაცემთა საუკეთესო ნაკრებს, რომლებიც ხელმისაწვდომია დარგობრივი აღწერის მონაცემებიდან. რეგიონებს შორის განსხვავებები უმუშევრობაში, უნარ-ჩვევებსა და შრომის ნაყოფიერებაში უფრო დიდია, ვიდრე საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი, ცხადია, კვალიფიციური დასაქმების და მაღალი შემოსავლების ძირითადი ცენტრია, უმაღლესი განათლების მქონე პირთა წილი ქვეყნის უმდაბლესი მაჩვენებელია (თუმცა ნომინალურად უმაღლესი) და უმუშევრობის მაჩვენებელი ორჯერ და უფრო მეტია საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. ეს დაკვირვება, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ, განპირობებულია მიგრანტთა შემოდინებით, მაგრამ მასზე შესაძლოა გავლენას, ასევე, ახდენდეს უმუშევრობის სტატისტიკის ბუნება ზედმეტად აგრარულ ეკონომიკაში. რამდენადაც ნატურალური სოფლის მეურნეობა აღირიცხება როგორც თვითდასაქმება, სოფლისმეურნეობაში დაკავებული შინამეურნეობების უფროსები აღრიცხული არიან, როგორც ინდმეწარმეები და ოჯახისწევრები კი - როგორც „უხელფასო საოჯახო ბიზნესის მუშაკები“. უმუშევრობა ასეთ რაიონებში შესაძლოა სათანადოდ არ იყოს შეფასებული. რეგიონებში უმუშევრობის და საშუალო შრომის ნაყოფიერების ტენდენციებში არსებული განსხვავებები იწვევს განსხვავებებს რეგიონულ საბაზრო პირობებში (მოთხოვნა შრომით რესურსებზე და შრომითი რესურსების და კაპიტალის ნაკადების შემაფერხებელი ფაქტორები), რაც, თავის მხრივ, განაპირობებს რყევებს რეგიონების პოზიციებში.

რეგიონული განვითარების პოლიტიკის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების უპირატესობად შეიძლება განვიხილოთ ამა თუ იმ რეგიონის შედარებითი უპირატესობის, მისი სპეციფიკის, არსებული პოტენციალის გამოვლენა და მისი ოპტიმალური გამოყენება. ამასთან ერთად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შემდგომი მოწესრიგება და განვითარება რეგიონებს შორის უთანასწორობის

შემცირების, ადგილობრივი ეკონომიკის ზრდისა და მისი სტიმულირების, პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისა და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

თანმიმდევრული დეცენტრალიზაცია და სუბნაციონალური ერთეულების წამყვანი როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევა. ამდენად, სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებისას, აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებები ითვალისწინებდეს ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობას და მათ ამა თუ იმ საჭიროებას, ცალკეული რეგიონის განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია რეგიონული მახასიათებლების გავლენა და ფირმების კონკურენტუნარიანობა და დეცენტრალიზაციის პროცესის გავლენა არსებულ უთანასწორობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფირმების სპეციფიკურ მახასიათებლებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ადგილმდებარეობა ან ადგილთან დაკავშირებული სპეციფიკური ეფექტი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი მამოძრავებელია. ადგილობრივი სახელმწიფო ხარჯები, ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა და ადამიანური კაპიტალის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ფირმების კონკურენტუნარიანობისთვის. იზრდება გლობალური ვაჭრობის ინტენსივობა, განსაკუთრებით ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) გაფორმების შემდეგ, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია შეიქმნას შესაძლებლობები ნაკლებად პრივილეგირებულ სფეროებში, რათა კიდევ უფრო არ გაღრმავდეს არსებული რეგიონული უთანასწორობა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ფირმების ბუნება, იმ ფონზე, როდესაც ექსპორტის და დამატებითი ღირებულების დიდი წილი დაბალ პროდუქტიულ სექტორებზე მოდის, გავლენას ახდენს მოპოვებული მონაცემების სიმტკიცეზე, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება კიდევ უფრო მეტ დადებით გავლენას იქონიებს რეგიონებში, რამდენადაც ფირმები განვითარების ისეთ დონეს მიაღწევენ, რომელიც შესაძლებელს გახდის ცოდნის გავრცელებასთან და სავაჭრო შესაძლებლობებთან დაკავშირებული გარე ფაქტორების და სავაჭრო შესაძლებლობების უკეთესად გამოყენებას.

განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მცირე ფირმების მხარდაჭერას, რომ ხელი შეეწყოს სამუშაო ადგილების შექმნას და პროდუქტიულობის სწრაფ ზრდას.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020-ში“ ამ მიმართულებით შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლების მიღწევას ისახავს მიზნად:


მაჩვენებელი	მიმდინარემაჩვენებელი	საპროგნოზომაჩვენებელი
მშპერთსულმოსახლეზე (ლარი, ნომინალური)	5811.7	13 000
მშპერთსულმოსახლეზე (ლარი, მუდმივფასებში)	5811.7	9200
ჯინისკოეფიციენტი	0.41	0.35
ინფლაცია (%)	2.4	3
უმუშევრობა (%)	15	<12
გადასახადები (წილიმშპ-ში, %)	24	25
ექსპორტი (საქონელიდამომსახურება, წილიმშპ-ში, %)	45	65
მიმდინარეანგარიშისდეფიციტი (წილიმშპ-ში, %)	>10	6
სახელმწიფოვალისმიმართებამშპ-სთან (%)	34	<40

ცხრილი 2 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საპროგნოზო მაჩვენებლები

შემოსავლების უთანასწორობის ხარისხი შეიძლება დავინახოთ ლორენცის მრუდზე, სადაც ”ოჯახების წილი” განლაგებულია აბსცისის ღერძზე, ხოლო შემოსავლების წილი - ორდინატის ღერძზე.

თეორიულად შესაძლებელია შემოსავლის აბსოლუტურად თანაბარი განაწილება, რომელიც ნახაზზე ნაჩვენებია ბისექტრისით. იგი უჩვენებს, რომ ოჯახების ყოველი მოცემული პროცენტი შესაბამის პროცენტულ შემოსავალს იღებს: 20% ოჯახების წილი იღებს შემოსავლის 20%-ს, 40% - შემოსავლის 40%, 60% - შესაბამის პროცენტს და ა. შ.,

რომელიც შესაბამისი წერტილებით ბისექტრისაზე აღნიშნული. ბისექტრისა და ლორენცის მრუდს შორის არსებული სივრცე მიუთითებს შემოსავლების უთანასწორობის ხარისხზე. რაც უფრო ფართოა ეს სივრცე ანუ დაცილება სწორ ხაზსა და მრუდს შორის, მით უფრო მეტია უთანასწორობის ხარისხი. თუ შემოსავლის ფაქტობრივი განაწილება აბსოლუტურად თანასწორი იქნებოდა, მაშინ ბისექტრისა და ლორენცის მრუდი ერთმანეთს დაემთხვეოდა. ნახაზზე აგრეთვე ნაჩვენებია აბსოლუტური უთანასწორობის სიტუაცია, რომელიც მაშინ წარმოიშობა, როცა ოჯახების 1%-ის საკუთრებაში აღმოჩნდებოდა შემოსავლის 100%. ამ შემთხვევაში ლორენცის მრუდი დაემთხვეოდა ორდინატის ღერძს.



ლორენცის მრუდი გრაფიკი 14

იკვლევდა რა ისტორიულ ჭრილში ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებებს განვითარებად ქვეყნებში, საიდან კუზნეცი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავდაპირველად ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს განაწილების გაუარესების პირობებში, ხოლო შემდეგ, გარკვეულ დონეზე იწყება შემოსავლების გათანაბრება. ეს გრაფიკულად გამოისახება მრუდით, რომელმაც კუზნეცის მრუდის სახელწოდება მიიღო. ამ მრუდის თეორიული ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლები უნდა გადანაწილდეს ბიზნესმენტთა სასარგებლოდ, მათ რომ ეს თანხები წარმოებაში დააბანდონ, რითაც მიიღწევა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. ამით გაიზრდება სამუშაო ადგილები და უმუშევარი ღარიბებიც დასაქმდებიან. მეცნიერთა

დიდი ნაწილი თვლის, რომ ეს დებულება არასწორია, იგი ემსახურება მათ ინტერესებს, რომლებიც სარგებლობენ განაწილების უსამართლობით. კუზნეცის მოსაზრების საწინააღმდეგოდ გამოითქმება შემდეგი მოსაზრებები:

1. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მდიდარი ნაწილი არ არის მიდრეკილი საინვესტიციო დაგროვებისადმი. ისინი ამჯობინებენ შემოსავლები გამოიყენონ პირადი დაგროვების მიზნით: შეიძინონ ძვირფასეულობა, უძრავი ქონება, გახსნან ანაბრები საზღვარგარეთ და ა. შ.
2. მცირე შემოსავლების დროს დაბალია სამუშაო ძალის უნარი: ჯანმრთელობა, განათლება, კვალიფიკაცია და ა. შ.
3. გადანაწილება ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ გაზრდის მოთხოვნას სამამულო წარმოების საქონელზე, რაც ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი ფაქტორი იქნება.
4. სამართლიანი განაწილების შემთხვევაში გაცილებით დიდია ქვეყნის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური სტაბილურობა, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ არ არის შეუძლებელი ერთდროულად ჰქონდეს ადგილი როგორც ეკონომიკურ ზრდას, ასევე განაწილების გაუმჯობესებას.

ეს საკითხი საქართველოსთვის ისეთივე მტკივნეულია, როგორც სხვა ღარიბი ქვეყნებისთვის. ჩვენთანაც შემოსავლები დიფერენცირებულია ქალაქსა და სოფლის მოსახლეობას და ქვეყნის რეგიონებს შორის. სოფლად შემოსავლები დაბალია, ვიდრე ქალაქად და საქართველოს ზოგიერთ დეპრესირებულ რეგიონში კიდევ უფრო მცირეა. საყურადღებოა მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლის უთანაბრო განაწილება.

შემოსავლებს შორის სხვაობა, მეცნიერი კორადო ჯინის მიერ შემუშავებული კოეფიციენტით იანგარიშება.

ჯინის კოეფიციენტი წარმოგვიდგება აგრეგირებულ მაჩვენებლად და შეიძლება შეიცვალოს 0-დან (აბსოლუტური თანაფარდობა) 1-მდე (აბსოლუტური უთანასწორობა).

მსოფლიოში შემოსავლის უთანაბრო განაწილების ხაზით ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვთ ნამიბიას, სადაც მოსახლეობის უღარიბესი 10%-ის წილი მთლიან შემოსავალში 0,6%-ია, ხოლო უმდიდრესი 10%-ის წილი - 65,2%-ია.

იმ ქვეყნებისთვის რომელთათვის დამახასიათებელია შემოსავლის ნაკლებად თანაბარზომიერი განაწილება ჯინის კოეფიციენტი მერყეობს 0,36-0,70 ფარგლებში, ხოლო შედარებით თანაბარზომიერი განაწილების ქვეყანაში - 0,20-0,35 ფარგლებში. საქართველო მიეკუთვნება ქვეყნების პირველ ჯგუფს, სადაც 2006-2011 წლებში ჯინის კოეფიციენტი ანუ შემოსავლის მიხედვით უთანასწორობის ხარისხი, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით საკმაოდ მაღალი იყო და ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2011-2016 წლებში ჯინის კოეფიციენტი კლების ტენდენციას ავლენს 2016 წელს კი ის შეადგენდა 36.5-ს.

წელი	ჯინის კოეფიციენტი საქართველოში (მსოფლიო ბანკის მონაცემები)	ჯინის კოეფიციენტი საქართველოში (საქსტატი)
2018		37
2017	37.90	40.12
2016	36.50	38.92
2015	36.40	37.80
2014	37.30	38.95
2013	38.40	39.01
2012	38.80	41.06
2011	39.50	41.76
2010	40.10	41.60
2009	38.10	40.24
2008	38.20	39.68
2007	38.30	39.68
2006	36.90	38.13

ცხრილი 3

ჯინის კოეფიციენტი საქართველოში 2006-2017 წლებში მსოფლიო ბანკის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით

დამოუკიდებლობის შემდეგ 2005 წლისთვის საქართველოს შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1990 წლის მაჩვენებლის 28 პროცენტამდე დაეცა, ხოლო 2013 წელს იმავე მაჩვენებლის 78 პროცენტამდე გაიზარდა. 2004 წლიდან ეკონომიკურმა ზრდამ საშუალოდ 5.5. პროცენტი შეადგინა, ძირითადად 2004-08 წლებში განხორციელებული

სტრუქტურული რეფორმების გამო. თუმცა სუსტმა საწყისმა პირობებმა და სამი წლის განმავლობაში მომხდარი შოკების ტრიუმვირატმა „წყვეტა“ განაპირობეს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: 2006 და 2007 წლების საპროტესტო გამოსვლები, 2007 წელს რუსული ბაზრის დახურვა და რუსეთთან კონფლიქტი, შემდეგ კი 2008 წლის გლობალური კრიზისი, რაც გამოიხატა სამუშაო ადგილების შექმნის შენელებაში, ეკონომიკური ზრდის „ჯამურ მოთხოვნაზე“ ზედმეტად დამოკიდებულებაში და პრობლემურ მოწყვლადობაში სიღარიბის და უთანასწორობის თვალსაზრისით. საქართველო რჩება ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში. ჯინის კოეფიციენტი საკმაოდ დიდია და უთანასწორობა საკმაოდ მაღალია.

მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის ზრდა და კაპიტალის დაგროვება, უმეტესწილად არასაექსპორტო დარგებში, წარმოადგენდა ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალას გასული ათწლეულის განმავლობაში. მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის ზრდა წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) ზრდის საერთო განმსაზღვრელს საქართველოში და ძირითადად კონცენტრირებულია არასაექსპორტო სექტორებში, მომსახურების, მშენებლობის, და მრეწველობის ჩათვლით, თუმცა ზოგიერთმა აღნიშნულმა ინვესტიციამ, კერძოდ ინფრასტრუქტურაში განხორციელებულმა, უდავოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკის საწარმოო სიმძლავრის განვითარებაში. კრიზისის შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან ხარჯვის გააქტიურებამ ხელი შეუწყო ეკონომიკის ფართო მასშტაბიან აღდგენას და ვარდნის შენელებას სოფლის მეურნეობაში. სამუშაო ადგილების შექმნის მიუხედავად, შრომითი რესურსების მნიშვნელოვანმა დასაქმებამ სახელმწიფო სექტორში საგრძნობლად დაჩრდილა დასაქმების ზრდა კერძო სექტორში და შრომითი რესურსების აკუმულირება შედარებით მცირე როლს ასრულებდა.

ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რომელიც უკავშირდება, როგორც ეკონომიკის სტრუქტურას, ისე - ზრდის არსებულ წყაროებს და მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას დარგობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით. არასაექსპორტო დარგების სწრაფი განვითარება საექსპორტო დარგების განვითარებასთან შედარებით ასახავს საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემას და მნიშვნელოვნად განაპირობებს

მიმდინარე ანგარიშის უარყოფით სალდოს. არასაექსპორტო დარგებში პროდუქტიულობის შედარებით მაღალმა ზრდამ მნიშვნელოვნად განაპირობა ვალუტის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ზრდა და უარყოფითი გავლენა იქონია კონკურენტუნარიანობაზე. ეს ტენდენციები ხაზს უსვამს პროდუქტიულობის სწრაფი ზრდის და, როგორც ადამიანური, ისე - კაპიტალური რესურსების აკუმულირების საჭიროებას საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ დარგებში ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერის მიზნით; ასევე, იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს, სავაჭრო პოლიტიკისა და ევროკავშირთან ახლო ურთიერთობების მეშვეობით, მაღალი შემოსავლის, უფრო მეტი სამუშაო ადგილის და განვითარებაში მნიშვნელოვანი შედეგების მოტანა საქართველოს მოსახლეობისთვის.

მსოფლიო ბანკის ჯგუფმა მკაფიოდ განაცხადა თავისი ორი მიზნის შესახებ, ესენია, უკიდურესი სიღარიბის დაძლევა და საერთო კეთილდღეობის ამაღლება. ამით ჯგუფმა ხაზი გაუსვა, რომ განვითარებისთვის აუცილებელია როგორც ზრდა, ისე - ინკლუზიურობა. ეკონომიკური ზრდის პროცესში აბსოლუტური პროგრესის გაზომვა სიღარიბის შემცირების და განაწილების ქვედა დონეზე მოხვედრილი მოსახლეობის ნაწილის ინკლუზიურობის შედარებითი გაუმჯობესების მიხედვით შესაძლებელს ხდის, დავაკვირდეთ ღარიბი მოსახლეობაში შემოსავლის მიღების უნარის განვითარებას და ვეძებოთ ამ უნარის გაძლიერების პოლიტიკური გადაწყვეტილებები. მსოფლიო ბანკის ჯგუფი საერთო კეთილდღეობას აფასებს ან საქონლის და მომსახურების მოხმარების მაჩვენებლის, ან მოსახლეობის უღარიბესი ქვედა 40 პროცენტის შემოსავლის ზრდის მიხედვით. ეს საზომი რელევანტურია შედარებისთვის შემოსავლის ყველა დონეზე. საქართველოს მეტი პროგრესი აქვს აღნიშნული ძირითადი მიზნების განხორციელების მიმართულებით 2010 წლის შემდეგ, მაგრამ კვლავ გამოწვევად რჩება პროგრესის დაჩქარება და შენარჩუნება. ეფექტიანობა, როგორც სიღარიბის დაძლევის, ისე - საერთო კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით გაიზარდა 2010 წლის შემდეგ, რაც მოჰყვა ფისკალურ სტიმულს კრიზისიდან გამოსვლის პერიოდში და პენსია-სოციალური დახმარების დონის და დაფარვის არეალის ზრდას. თუმცა, სამუშაო ადგილების შექმნის სუფთა მაჩვენებელი, რაც მდგრადი და ინკლუზიური განვითარების საფუძველია, ისევ დაბალია. შრომის ბაზრის ეფექტიანობის ამაღლება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად

რჩება ემპირიული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ საჭიროა კონკურენტუნარიანობის გაძლიერების მეშვეობით ვაჭრობის პერსპექტივის გაუმჯობესება, რაც წარმოადგენს არამარტო სამუშაო ადგილების შექმნის და ეკონომიკური ზრდის, არამედ საერთო კეთილდღეობის ამაღლების საშუალებას. ექსპორტის გაძლიერებასთან დაკავშირებული პროდუქტიულობის გაუმჯობესება მნიშვნელოვანია საქართველოში სამუშაო ადგილების ზრდისთვის. ეს უკანასკნელი კი საერთო კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის დაძლევის, ასევე, რეალური ხელფასების მატების მთავარი გზაა. საერთაშორისო გამოცდილება, ასევე, მიუთითებს პირობებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ვაჭრობა ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას და ეკონომიკურ ზრდას.

2004 წლის შემდეგ შთამბეჭდავმა ეკონომიკურმა ზრდამ ქვეყანა გაცილებით რთულ მდგომარეობაში დატოვა, ვიდრე 1990 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამ. მსოფლიო ბანკის თანახმად, ეკონომიკური ზრდა საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში ხასიათდებოდა ოთხი ფაზით, ესენია: კოლაფსი, სტაბილიზაცია, დაჩქარება და, ბოლოს, კრიზისი და კრიზისიდან გამოსვლა. საბჭოთაკავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ განიცადა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ვარდნა გარდამავალ პერიოდში მყოფ სხვა ქვეყნებს შორის. 1994 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტი დაეცა დაახლოებით 1990 წლის მაჩვენებლის 27 პროცენტამდე, რაც ეკონომიკური არეულობის და სამოქალაქო კონფლიქტის შედეგი იყო. 1996 წლიდან აღინიშნა მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხანმოკლე პერიოდი და ნახტომისებურმა სტრუქტურულმა რეფორმებმა ეკონომიკას ძლიერი დეპრესიის შემდეგ აღდგენის და სტაბილიზაციის შესაძლებლობა მისცა. ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 1999-2003 წლებში 5.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვარდების რევილუციის შემდეგ, 2003 წლის ბოლოს, გრძელვადიანი და ფართო მასშტაბიანი რეფორმების შედეგად, დაჩქარებულმა ზრდამ 2004-07 წლებში 9.3 პროცენტს მიაღწია. აღნიშნული დაჩქარება შეაჩერა ორმაგმა შოკმა - 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტმა (რასაცწინ უსწრებდა რუსული ბაზრის დახურვა) და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა. ეკონომიკამ აღდგენა დაიწყო 2010-13 წლებში და ზრდამ შეადგინა 5.5 პროცენტი. 2013 წლის მდგომარეობით საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი(GDP/მშპ) 1990 წლის მაჩვენებლის 80.5 პროცენტი იყო.

დარგობრივი მონაწილეობის თვალსაზრისით, 2004 წელს და 2008 წლის შუახანებს შორის, ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი იყო სერვისები, მშენებლობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით (რაც შეადგენდა მშპ-ის 16 პროცენტს 2007 წელს) დაფინანსებული მრეწველობა. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტმა განაპირობეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ექსპორტის და გადარიცხვების მკვეთრი ვარდნა. 2009 წელს ეკონომიკურმა ვარდნამ 3.8 პროცენტი შეადგინა. მთავრობამ დაიწყო ფისკალური სტიმულირება, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის აღდგენას 2010 წლიდან, ამას სახელმწიფო ხარჯვაც უწყობდა ხელს. კრიზისიდან გამოსვლა ფართომასშტაბიანი იყო, გარკვეული ჩავარდნები იყო სოფლის მეურნეობაში, რომელთა შენელება და შემობრუნებაც კი მოხერხდა.

მშპ-ის წლის თვალსაზრისით, მრეწველობაში აღინიშნა სტაგნაცია, ხოლო სერვისები ამჟამად ეკონომიკის დაახლოებით ორ მესამედს შეადგენს. კერძოდ, სახელმწიფო სექტორის, უძრავი ქონების სფეროს და ფინანსური სერვისების მონაწილეობა მთლიან შიდა პროდუქტში სტაბილურად გაიზარდა გასული 10 წლის განმავლობაში. მოთხოვნის მხარეს სამომხმარებლო ხარჯების ზრდამ მშპ-ის უდიდესი წილი შეადგინა. სახელმწიფო და კერძო სამომხმარებლო ხარჯები 2009 წლის პიკურ ნიშნულს (მშპ-ის 106%) ჩამოცდა და 2013 წელს დაახლოებით 87 პროცენტი შეადგინა. ამ მონეტის მეორე მხარემ - მცირე საოჯახო დანაზოგებმა - ხელი შეუწყო კაპიტალის იმპორტს, საბანკო სისტემის დოლარიზაციას და მიმდინარე ანგარიშის უარყოფით სალდოს. იმისათვის, რომ ეკონომიკამ დაიწყოს მიწოდების გენერაცია, რაც აუცილებელია სამუშაო ადგილების მდგრადი ზრდისთვის და ცხოვრების სტანდარტების ამაღლებისთვის, საჭიროა ყურადღების გადატანა საექსპორტო სფეროებზე და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება.

მაკროეკონომიკის საფუძვლები ასახავს შესაბამის ეკონომიკურ სტრუქტურას და ზრდის მიმდინარე წყაროებს; ის ხაზს უსვამს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების მნიშვნელობას და მასთან დაკავშირებულ გამოწვევას. ინვესტიციებთან შედარებით დაბალმა დანაზოგებმა და იმპორტთან, განსაკუთრებით სამომხმარებლო საქონლის იმპორტთან, შედარებით დაბალმა ექსპორტმა განაპირობა მიმდინარე ანგარიშის უცვლელი დეფიციტი, რომელიც უმეტესწილად ფინანსდება შემოდინებული

კაპიტალით. კაპიტალის შემოდინებას კი ხელს უწყობს მაღალი შიდა საპროცენტო განაკვეთები. აღნიშნული ნაკადების შემოდინებამ, სუსტად განვითარებულ კაპიტალის ბაზრებთან და ლარში დაფინანსების შეზღუდულ ინსტრუმენტებთან ერთად, გამოიწვია საბანკო სისტემის მაღალი დოლარიზაცია. ვალუტის რეალური გაცვლითი კურსის ზრდამ, რომელიც ასახავს პროდუქტიულობის ზრდას და კაპიტალის დაგროვებას არასაექსპორტო დარგებში, კიდევ უფრო შეზღუდა ექსპორტის კონკურენტუნარიანობა. მიმდინარე ანგარიშის უცვლელი დეფიციტი ვალუტის გადაჭარბებულ ღირებულებაზე მიუთითებს, უცხოური ვალუტაში სესხების დიდი მოცულობით აღება და დაკრედიტება შეზღუდავს ვალუტის გაუფასურების დადებით გავლენას ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე, რადგან შეუქმნის ზარალის საფრთხეს იმ ფირმებს, რომლებიც სავალუტო რისკის წინაშე დგანან. ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სავაჭრო დეფიციტის დონის შენარჩუნებასა და, საბოლოოდ, შემცირებასთან ერთად, შეაჩერებს გარე დაუბალანსებლობას, შეზღუდავს, შოკის შემთხვევაში, სამომხმარებლო ხარჯების და/ან ინვესტიციების მტკივნეული კორექტირების საჭიროებას და ხელს შეუწყობს საექსპორტო სექტორებში გაფართოებას, რაც აუცილებელია სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ინვესტიციების გადანაცვლება საექსპორტო დარგებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

კაპიტალი საქართველოში ძირითადად მიედინებოდა არასაექსპორტო დარგებში და იმპორტზე უფრო იყო ორიენტირებული, ვიდრე ექსპორტზე. იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ევროკავშირთან ახლოეკონომიკური კავშირების უპირატესობის გამოყენება, საჭიროა გაფართოვდეს საექსპორტო დარგები, რაც მოითხოვს გაცილებით მეტ ინვესტიციას, ვიდრე ამის შესაძლებლობას იძლევა შიდა დანაზოგები. ბევრ ქვეყანაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ხელი შეუწყო ექსპორტის შესაძლებლობების განვითარებას ბაზრის ინტეგრაციის, დარგთაშორისი კავშირების, უნარ-ჩვევების განახლების და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის მეშვეობით. საქართველოში აღნიშნული სათანადო მასშტაბით არ მომხდარა, მაგრამ შესაძლოა, სამუშაო ადგილების ზრდის მნიშვნელოვან წყაროდ იქცეს.

სამუშაო ადგილების წარმატებული შექმნა ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში დამოკიდებული იყო სტრუქტურული რეფორმების თანმიმდევრულ განხორციელებაზე, უნარ-ჩვევების განვითარებაზე და ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნაზე ფირმების პროდუქტიულობის ზრდის მხარდასაჭერად. მსოფლიო ბანკის ძირითადი ანგარიში სამუშაო ადგილების შესახებ სვამს ორ შეკითხვას: როგორ ქმნიან ქვეყნები სამუშაო ადგილებს და რომელი დარგობრივი პოლიტიკა ეხმარება მაძიებლებს ამ სამუშაო ადგილებზე წვდომაში? კვლევის ძირითადი შედეგები მიუთითებს, რომ სამუშაო ადგილების წარმატებულმა შემქმნელებმა ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში თავდაპირველად სტრუქტურული რეფორმები დაიწყეს, ხელი შეუწყვეს სამეწარმეო ბიზნეს გარემოს განვითარებას ფირმების ბაზარზე შესვლის ხელშეწყობით, პროდუქტიულობის ზრდით, ფირმების სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებით და გაფართოებით (ან წარუმატებელი ფირმებისთვის ბაზრიდან სწრაფად და იაფად გასვლაში ხელშეწყობით) და ჰყავდათ მოტივირებული, მობილური და მომზადებული მუშახელი. სამომავლოდ საქართველოს სჭირდება სამუშაო ადგილების შექმნა საექსპორტო სფეროებში საყოველთაო და მდგრადი ეკონომიკური ზრდის საფუძვლის მოსამზადებლად. ჯერჯერობით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ქმნის სამუშაო ადგილებს, ეს ტემპი არასაკმარისია დაღმავალ სექტორებში სამუშაო ადგილების ლიკვიდაციის ნორმალური პროცესის ფონზე. საქართველოს მსგავსი მცირე ღია ეკონომიკისთვის ექსპორტის ზრდას (განსაკუთრებით მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე, მაგრამ შრომითი რესურსების მაღალი ტევადობით გამორჩეული საქონლის ექსპორტის ზრდა) სამუშაო ადგილების სუფთა მაჩვენებლის ზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ფირმების პროდუქტიულობის მხარდაჭერა და საგადასახადო სისტემის მათზე მორგება დასაქმების ზრდის წინაპირობაა და მოითხოვს სტრუქტურული რეფორმების განახლებას და გაღრმავებას.

ახალი, ინოვაციური და თანამედროვე ფირმები სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში. სამეწარმეო გარემო საშუალებას უნდა აძლევდეს აღნიშნულ ფირმებს, შევიდნენ ბაზარზე, დარჩნენ ბაზარზე (ან გავიდნენ ბაზრიდან) და განვითარდნენ. ეს, ასევე, გულისხმობს მხარდამჭერი მაკროეკონომიკური საფუძვლების შექმნას, კერძოდ, შიდა

დანაზოგების ხელშემწყობი პოლიტიკის წარმოებას და ახალი ფირმების ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსებას. განათლების რეფორმის და უნარ-ჩვევების განვითარების მხარდაჭერა, მუშაობის სტიმულის შექმნა და განვითარების დამატებითი ცენტრების მხარდაჭერა თბილისს გარეთ ხელს შეუწყობს მუშახელის მობილობას, ისევე, როგორც შრომითი რესურსების მეტად გააქტიურებას. რესურსების მობილიზაცია მაღალ პროდუქტიულ დარგებში შეავსებს და გამოიყენებს საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ხელშეკრულებით (DCFTA) მოპოვებულ ბაზარზე წვდომის შესაძლებლობებს.

მოსახლეობის ქვედა ორმოც პროცენტსა და ზედა 20 პროცენტში ზრდის მაჩვენებლების შესწავლის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავებები დროში, საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებაში არადაამაკმაყოფილებელი შედეგების მთავარი გამომწვევი 2008 წლის კრიზისის შემდგომი პერიოდი იყო. 2006–07 წლებში, ეკონომიკის რესტრუქტურის პერიოდში, როცა სამუშაო ადგილების ლიკვიდაცია აღემატებოდა სამუშაო ადგილების შექმნას, შინამეურნეობების საშუალო სამომხმარებლო ხარჯები თითქმის არ გაზრდილა მთლიანი მოსახლეობისთვის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქვედა 40 პროცენტის მდგომარეობა გაუარესდა, მოსახლეობის ზედა 20 პროცენტის ეკონომიკური მდგომარეობა 2%-ით გაიზარდა. 2007 წლის შემდეგ ეკონომიკური ზრდა მცირე ხნით განახლდა მოსახლეობის ყველა ფენისთვის (მათ შორის, ქვედა 40 პროცენტისთვის), 2008 წლის მეორე ნახევარში კრიზისის დადგომამდე.

2009 წელს ეკონომიკური ვარდნის პერიოდში საშუალო სამომხმარებლო ხარჯები ყველასათვის შემცირდა, თუმცა ეს კლება შესამჩნევი გახდა მხოლოდ 2009–10 წლებში. 2008 და 2009 წლებში აღინიშნა ყველაზე მეტად უთანასწორო ზრდა, სადაც შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები შემცირდა მხოლოდ ქვედა 40 პროცენტისთვის, მაშინ როცა ზედა 20 პროცენტისთვის ეს მაჩვენებელი 5 პროცენტით გაიზარდა. 2009–10 წლებში სამომხმარებლო ხარჯების შემცირებამ განაწილებაში ყველაზე მეტად დააზარალა მოსახლეობის უღარიბესი ქვედა 40 პროცენტი, რომლის საშუალო სამომხმარებლო ხარჯები შემცირდა 9 პროცენტით (ზედა 20 პროცენტში 5-პროცენტიანი ზრდის ფონზე). ფისკალურმა სტიმულმა და კრიზისიდან გამოსვლის ფართო მასშტაბიანმა ღონისძიებებმა, როგორც ჩანს, განსაკუთრებული სარგებელი

მოუტანა ქვედა ორმოც პროცენტს, სადაც აღინიშნა 4 პროცენტისანი ზრდა (ზედა 20-ის სამომხმარებლო ხარჯების 0.6 პროცენტისანი ზრდასთან შედარებით).

აღნიშნული ტენდენციები აისახება სიღარიბის მონაცემებში. პროგრესი სიღარიბის და უთანასწორობის დაძლევაში ნელი ტემპით მიდიოდა ძირითადად იმავე ფაქტორების გამო, რომლებმაც გავლენა იქონიეს საერთო კეთილდღეობის მიღწევაზე, ესენია: სამუშაო ადგილების შექმნის დაბალი სუფთა მაჩვენებელი, შეზღუდული ურბანიზაცია და მაღალი დამოკიდებულება დაბალ პროდუქტიულ, ნატურალურ სოფლის მეურნეობაზე. სიღარიბის მაჩვენებლები 2004 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში 18-დან 21 პროცენტამდე მერყეობდა და პიკურ მნიშვნელობას კრიზისის დროს მიაღწია. 2012 წელს სიღარიბის მაჩვენებელი შესამჩნევად შემცირდა, დიდი სოციალური დახმარების და სურსათზე და ელექტროენერგიაზე ფასების შემცირების გამო. Gini-ს კოეფიციენტი, ასევე, კვლავ საკმაოდ მაღალი იყო ECA-ს სტანდარტების მიხედვით და დაახლოებით 39-ის ფარგლებში მერყეობდა ამ პერიოდში. საქართველოს ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა ან მოდელი მეტ უპირატესობას ანიჭებს ქალაქებს, ვიდრე სოფელს და რეგიონული უთანასწორობა უცვლელი რჩება.

სიღარიბე ქალაქად უფრო მეტად რეაგირებს ეკონომიკურ ზრდაზე, ისევე, როგორც უთანასწორობის ცვლილებაზე, ვიდრე სოფლად. სოფლის მეურნეობის განვითარება შენელებულია (თითქმის არ შეაქვს წვლილი საერთო ეკონომიკურ ზრდაში), რამდენადაც ზრდა თითქმის მთლიანად განპირობებულია მომსახურების და სამრეწველო (რომელიც ძირითადად ქალაქებშია წარმოდგენილი) სფეროებით. 2011 წელს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 22 პროცენტი და ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის 13 პროცენტი ღარიბი იყო, სოფლის მცხოვრებთა 8 პროცენტს და ქალაქის მცხოვრებთა 3 პროცენტს კი ემუქრებოდა უკიდურესი სიღარიბე. როგორც საერთო სიღარიბის შემთხვევაში, სიღარიბის სიღრმე გაცილებით დიდია სოფლად (შემოსავლის დეფიციტი სიღარიბის ზღვარის 7.4 პროცენტია და შემოსავლის დაბალანსებული დეფიციტი 3.6-ია) ვიდრე ქალაქად (სიღარიბის ზღვარის 3.7 პროცენტი). სიღარიბე სოფლად არა მარტო უფრო მაღალია, არამედ ღარიბი მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი სოფლად ცხოვრობს. ღარიბი მოსახლეობის ასეთი განაწილება განსხვავდება საერთო მოსახლეობის წილისგან, რომელიც სოფლად და ქალაქად ცხოვრობს (დაახლოებით 50 პროცენტი

თითოეულისთვის). სიღარიბის აღბათობა, დროებითი სიღარიბე ან ქვედა 40 პროცენტში მოხვედრა, ასევე, ასოცირდება შრომითი ბაზრის სტატუსთან და ოჯახის უფროსის სქესთან. ღარიბები და ქვედა 40 პროცენტში შემავალი პირები სავარაუდოდ უფრო მეტად: ცხოვრობენ დიდ შინამეურნეობებში, სადაც კმაყოფაზე მყოფ წევრთა რაოდენობა დიდია; ცხოვრობენ შინამეურნეობებში, რომლის უფროსია საშუალო განათლების არმქონე ადამიანი; უმუშევარი ან ეკონომიკურად არააქტიურია; ოჯახის უფროსს ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჰქონდეს ანაზღაურებადი სამუშაო და ძირითადად თვითდასაქმებულია (და უმეტესად ასე ხდება ნატურალური მეურნეობის მქონე გლეხების კლასიფიკაცია) და ცხოვრობენ ოჯახებში (შინამეურნეობებში), რომლის უფროსიც ქალია. იმ შინამეურნეობებში, სადაც უფროსი უმუშევარია, სიღარიბის მაჩვენებელი 24 პროცენტია იმ შინამეურნეობებთან შედარებით, რომელთა უფროსიც დასაქმებულია და მათი სიღარიბის მაჩვენებელია 14 პროცენტია.

დროებითი სიღარიბე და ეკონომიკური მობილობა, ასევე, მჭიდრო კავშირშია დასაქმების სტატუსთან, კერძოდ უმუშევრობასთან. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სიღარიბის მაჩვენებლების ცვლილების ძირითადი მიზეზი, უმეტესად, იყო სოციალური გაცემები (პენსიები და სოციალური დახმარება), უფრო ნაკლებად - შრომითი ბაზრის ინდიკატორები (შემოსავლები, დასაქმება). სიმულაციები, სადაც გამოყენებულია შინამეურნეობების შემოსავლებზე დამყარებული სიღარიბის საზომი და რომლებიც ემყარება შემოსავლების წყაროების მიკრო დაშლას, გვიჩვენებს, რომ სიღარიბის შემცირება ძირითადად აიხსნება ასაკობრივი პენსიითა და მიზანმიმართული სოციალური დახმარებით. 2006-2012 წლებში შემოსავლების არქონით გამოწვეული სიღარიბის შემცირების 50 პროცენტის სოციალური გაცემების შედეგი იყო. ხოლო მისმა წილმა 80% შეადგინა 2010-2012 წლებში. 2006-2012 წლებში ცვლილების მეორე უმნიშვნელოვანესი წყარო იყო „სხვა წყაროები“, რომელიც მოიცავს შემოსავალს ქონების გაყიდვიდან ან გაქირავებიდან, სესხებიდან, არაფულად შემოსავალს და ნათესავებისგან მიღებულ გადმორიცხვებს. დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი შინამეურნეობა აღწევს თავს სიღარიბეს, ვიდრე ხვდება სიღარიბეში. სიღარიბის კვარტალური ცვლილება, ისევე, როგორც სიღარიბის ზღვარს ზევით ან ქვევით გადანაცვლება 2007-დან 2012 წლამდე პერიოდში იმაზე მიუთითებს, რომ „რყევები“ ერთი შეხედვით უცვლელ

სიღარიბის მაჩვენებლებში. მაგალითად, სიღარიბის მაჩვენებელი 2009 წლის მეოთხე კვარტალში 17 პროცენტს შეადგენდა და გაიზარდა 23 პროცენტამდე 2010 წლის მეორე კვარტალში. ზოგადად, სიღარიბის მაჩვენებლები უმაღლესია ნებისმიერი მოცემული წლის მეორე და მესამე კვარტლებში. ეს მაგალითი მიუთითებს დასაქმების სეზონურ მოდელზე. იმ ადამიანების დაახლოებით 32 პროცენტი, რომელიც ღარიბი იყო 2009 წელს, კვლავ ღარიბად დარჩა ორი წლის შემდეგ, 2011 წელს, მაშინ, როცა 2009 წელს არსებული ღარიბი მოსახლეობის დანარჩენმა ნაწილმა დაძლია სიღარიბე, და პირიქით, მხოლოდ 13 პროცენტი იმ ადამიანებისა, ვინც არ იყო ღარიბი 2009 წელს, აღმოჩნდა სიღარიბეში 2011 წელს.

მდგრადი განვითარების მისაღწევად საჭიროა, ნაცვლად სოციალური გაცემების სახით სახელმწიფო დახმარებებზე ყურადღების გამახვილებისა, აქცენტი გაკეთდეს მოსახლეობის ქვედა 40 პროცენტში შემოსავლის გამომუშავების უნარის გაძლიერებაზე. საქართველოს მთავრობის ახალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 ხაზს უსვამს გაცილებით უფრო სწრაფი და მეტად ინკლუზიური ზრდის მხარდაჭერის საჭიროებას. ამ ამოცანის მისაღწევად აუცილებელია ეკონომიკური ზრდის მდგრადი წყაროები, რომლებიც გამყარებული იქნება სამუშაო ადგილების შექმნით და გაძლიერებული ეკონომიკური შესაძლებლობებით სიღარიბის და ფისკალურ ტრანსფერებზე დამოკიდებულების დასაძლევად. ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსახლეობის ქვედა 40 პროცენტს (რომელიც უმეტესწილად არააქტიური ან უმუშევარია), ნაყოფიერად გამოიყენოს საკუთარი შედარებით ძლიერი რესურსები, მნიშვნელოვნად გაზრდის პროგრესს საერთო კეთილდღეობის მიღწევაში. მოსახლეობის ქვედა 40 პროცენტი საქართველოში, რეალურად, საკმაოდ კარგადაა უზრუნველყოფილი აქტივებით (კერძოდ, ადამიანური კაპიტალის აქტივით), მაგრამ არ შეუძლია მათი პროდუქტიული გამოყენება სამუშაოს მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ახლოს არის, მიღწეული ჰქონდეს ათასწლეულის განვითარების რამდენიმე მიზნისთვის, კვლავაც რჩება მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც ზღუდავს ქვეყნის განვითარების პოტენციალს და შეუძლია, საფრთხე შეუქმნას გამოვლენილი ტენდენციების მდგრადობას. ბოლო წლებში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის

შემცირებაში; დაწყებითი განათლების დაწესებულებებში სრული ჩარიცხვის მიმართულებით (დაწყებითი და საშუალო განათლების დაწესებულებებში გოგონების უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელია, ვიდრე ბიჭების) და გაიზარდა მოსახლეობის წილი, რომელსაც ხელი მიუწვდება უსაფრთხო წყლის რესურსებზე. თუმცა მნიშვნელოვანი უთანასწორობა რჩება ძირითად მომსახურებებზე წვდომის და ეკონომიკური შესაძლებლობების თვალსაზრისით მოსახლეობის ღარიბ და მარგინალიზებულ ჯგუფებსა და მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს შორის.

მართალია, ეკონომიკური ზრდა არ არის საკმარისი პირობა საერთო კეთილდღეობის მიღწევის დასაჩქარებლად, მაგრამ ის აუცილებელი ფაქტორია. მიუხედავად იმისა, რომ ღარიბი მოსახლეობის შემოსავლის ზრდისთვის საკმარისი არ არის ყურადღების გამახვილება მხოლოდ საერთო მშპ-ის ზრდაზე - რაც საქართველოს მაგალითზე კარგად ჩანს, ურთიერთკავშირი ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის და უთანასწორობის დაძლევის შორის, ზოგადად, დადებითია და ეს დასტურდება განვითარებადი სამყაროს კრიზისამდელი გამოცდილებით.

ამგვარად, იმის გასააზრებლად, თუ რა დარგობრივი პოლიტიკის ბერკეტები არსებობს საერთო კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, გამოდგება აქტივებზე დამყარებული მიდგომა, რომელიც აწყვილებს მაკროეკონომიკურ ფაქტორებს მაკროეკონომიკურ მახასიათებლებთან. ეს მიდგომა დეტალურად განხილულია ბუსოლოს და ლოპეს-კალვას მიერ. მიდგომის არსი მდგომარეობს არც ზევიდან ქვევით და არც ქვევიდან ზევით მიდგომის გამოყენებაში, არამედ იმის აღიარებაში, რომ შემოსავლების ზრდა ერთდროულად განპირობებულია ინდივიდუალური მახასიათებლებით და მაკროეკონომიკური ფაქტორებით. ამ მიდგომის ძირითადი იდეა არის ის, რომ საქართველოს წარმატება, საერთო კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა, განუვითაროს მოსახლეობის 40%-ს მათ ხელთ არსებული აქტივებით შემოსავლის გამომუშავების უნარი და გრძელვადიანად გაზარდოს ღარიბი მოსახლეობის პროდუქტიულობა. ამ მიდგომის მიხედვით, ოჯახის შემოსავალი დამოკიდებულია ოთხ ძირითად ფაქტორზე: მისი აქტივების მარაგზე, ადამიანური, ფიზიკური, ბუნებრივი, სოციალური და ფინანსური კაპიტალის ჩათვლით; აქტივების გამოყენებაზე, სამუშაოზე კვალიფიკაციის

ან მეწარმეობის უნარების გამოყენების ჩათვლით, მიწის გამოყენებაზე და ეკონომიკურ აქტიურობაზე; აქტივებიდან მიღებულ უკუგებაზე, ხელფასის, საპროცენტო შემოსავლის ჩათვლით; და ტრანსფერებზე, მათ შორის, სახელმწიფო ტრანსფერებზე და ფულად გზავნილებზე. ამ კონტექსტში ზრდა განიხილება, როგორც ყველა ფიზიკური პირის და შინამეურნეობის ჯამური შემოსავალი.

საქართველოში დემოგრაფიული ტენდენციები მიუთითებს, რომ მცირდება სამუშაო ასაკის მოსახლეობის წილი დამოკიდებული პირების წილთან შედარებით, იგივე ტენდენციაა ქვედა 40 პროცენტში. დამოკიდებულების კოეფიციენტი ოდნავ მაღალია მოსახლეობის ქვედა 40 პროცენტში. საერთოდ, პროგნოზების მიხედვით, სამუშაო ასაკის მოსახლეობის წილი მკვეთრად შემცირდება, რაც გავლენას იქონიებს როგორც სოციალური დაცვის სისტემაზე, ისე ღარიბი მოსახლეობის შესაძლებლობაზე, გაზარდოს პროდუქტიულობის უნარი. რეალურად, ძირითადი საზრუნავია ხნიერი მოსახლეობის დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა.

საქართველოში ადამიანური კაპიტალის ღირებულება სასწავლებელში გატარებული წლების მიხედვით დეცილებში განსხვავდება, თუმცა ის შედარებით მაღალია ქვედა 40%-ში, ამის მიზეზი, ძირითადად, „თაობის“ ეფექტია. საქართველოში, რეგიონთან შედარებით, ძალიან დაბალია მხოლოდ დაწყებითი განათლების მქონე მოსახლეობის წილი. ეს სავარაუდოდ ასახავს „ჯგუფის“ ეფექტს, სადაც მეტად განათლებულმა ასაკოვანმა ჯგუფმა დაკარგა სამუშაო ადგილები სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურის შედეგად. თუმცა, თუ უფრო მაღალი ხარისხის ადამიანური კაპიტალის საზომად მესამე ხარისხის - სადოქტორო - განათლებას გამოვიყენებთ, რომლის შედეგადაც იზრდება სამუშაო ბაზარზე მონაწილეობის ალბათობა, ასევე, შრომის შედეგად მიღებული ანაზღაურება, ვნახავთ რომ ნაპრალი დიდია. შესამჩნევი განსხვავებაა ზედა 60 პროცენტსა და ქვედა 40 პროცენტში სადოქტორო განათლების მქონე 25 წელზე უფროსი მოსახლეობის წილებს შორის. თუმცა ეს სხვაობა მსგავსია საერთო კეთილდღეობის მიხედვით წამყვანი ქვეყნების ლატვიის, პოლონეთის, ბულგარეთის და სლოვენის მაჩვენებლებისა ფინანსური კაპიტალის თვალსაზრისით, რომლის ილუსტრაციაც შესაძლებელია კრედიტზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ინდიკატორებით, ასევე, შეიმჩნევა

უთანასწორო განაწილება. ინფორმაცია საქართველოში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შესახებ მიუთითებს განსხვავებაზე ზედა 60 და ქვედა 40 პროცენტებს შორის, უკანასკნელს უკავია არასახარბიელო მდგომარეობა ფინანსური კაპიტალის აკუმულირების თვალსაზრისით. მაღალი საპროცენტო განაკვეთები და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები შესაძლოა ხელის შემშლელი ფაქტორები იყოს მცირე მსესხებლებისთვის.

ადამიანური კაპიტალის შედარებით მაღალი დონის მიუხედავად, მოსახლეობის ქვედა 40 პროცენტი სათანადოდ არ იყენებს თავის უნარს, მიიღოს შემოსავალი შრომით და ეკონომიკურად პასიურია. შრომითი რესურსების ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებელი ქვედა 40 პროცენტში შედარებით დაბალია, ვიდრე ზედა 60 პროცენტში და, ასევე, მიუთითებს მნიშვნელოვან გენდერულ უთანასწორობაზე. სხვაობა მოსახლეობის ქვედა 40 პროცენტს და ზედა 60 პროცენტს შორის ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებლის მიხედვით დაახლოებით 2 პროცენტული ერთეულია, ხოლო განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებლის მიხედვით ქვედა 40 პროცენტში დაახლოებით 22 პროცენტია, ოდნავ მაღალი, ვიდრე საერთო გენდერული განსხვავება შეფასების ამ მეთოდის მიხედვით.


უმუშევრობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალია ქვედა 40 პროცენტში. როგორც აღინიშნა, ღარიბი მოსახლეობა, სავარაუდოდ, უმუშევარია ან დამოკიდებულია სეზონურ სამუშაოზე. მთლიანად ფორმალური უმუშევრობა, რომელიც არასათანადოდ ასახავს უმუშევრობას სოფლად, 15 პროცენტზე მეტია, ხოლო უმუშევრობა ქვედა 40 პროცენტში 20 პროცენტს აღემატება.

საქართველოში ფისკალური ტრანსფერების წილი ღარიბი მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების დაფინანსებაში და საერთო კეთილდღეობის ამადლებაში მაღალია რეგიონის დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, თუმცა განსხვავებულ სურათს მივიღებთ, თუ გავითვალისწინებთ სოციალურ დახმარებას და სოციალურ დაზღვევას/ შრომით სარგებელს. როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობა, ზოგადად და არა მხოლოდ ქვედა 40 პროცენტი, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალურ დახმარებაზე, რომელიც არ ემყარება შენატანებს. შენატანებზე დაფუძნებული სოციალური დაზღვევა, მეორე მხრივ, არ არსებობს საქართველოში და შედარებით

მაღალია მისი მაჩვენებელი სხვა ქვეყნებში. საქართველოში სოციალური დახმარების დიდი ნაწილი, 80 პროცენტი, შედგება პენსიისგან, რომელსაც იღებენ შინამეურნეობები მთელი განაწილების გასწვრივ. ამგვარად, პენსიებით აიხსნება, რატომ აქვს ზედა 60 პროცენტის სამომხმარებლო ხარჯების დაფინანსებაში მაღალი წილი (დაახლოებით 30 პროცენტი) ტრანსფერებს.

ასევე, მნიშვნელოვანია კერძო ფულადი გზავნილები, რომლებიც მშპ-ს დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენენ.


ჯინის კოეფიციენტის ცვლილება დროში ასახულია შემდეგ გრაფიკზე, რომელზეც ჩანს რომ 2010 წლიდან კლების ტენდენცია ფიქსირდება. 2016 წლიდან კი ინდექსმა ზრდა დაიწყო



წყარო - მსოფლიო ბანკი, ჯინის ინდექსი - საქართველო. გრაფიკი 15

მე-16 გრაფიკში ასახულია მსოფლიოს ბანკის მონაცემებით 2017 წელს არსებული მდგომარეობა ჯინის კოეფიციენტის მიხედვით საქართველოსა და რეგიონში. ქვეყანა კვლავ „ლიდერობს“ ამ ინდექსის მიხედვით, რაც მიანიშნებს, რომ აუცილებელია ამ პრობლემისადმი მეტი ყურადღებისა და ენერჯის დათმობა. საჭიროა ისეთი ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემაში,

რომელიც უთანასწორობის ასეთი დიდი მაჩვენებლის შემცირებას საშუალებას მოგვცემს.



ჯინის ინდექსი საქართველოში და რეგიონში, გრაფიკი 16

საქართველო 190 ქვეყანას შორის 22-ე ადგილზეა მსოფლიო ბანკისა და PwC-ის Paying Taxes 2018 ერთობლივი ანგარიშის თანახმად, რომელიც ახდენს ქვეყნების შედარებას იმის მიხედვით, თუ რამდენად მარტივია საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ყოფნა. Paying Taxes 2018 წარმოადგენს მსოფლიო ბანკის “Doing Business 2018”-ის კვლევის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, რომელშიც საქართველო მე-9 ადგილზეა. Paying Taxes აფასებს, თუ როგორ ურთიერთქმედებს საშუალო ბიზნესის მქონე ადგილობრივი მწარმოებელი კომპანია საგადასახადო სისტემებთან 190 ქვეყნის ეკონომიკაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი აფასებს არა მხოლოდ გადახდილი გადასახადის თანხის ოდენობას, არამედ იმას, თუ რამდენი ხანი სჭირდება კომპანიას საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად. ამასთან კვლევა მოიცავს იმ დროს, რაც საჭიროა ძირითადი გადასახადების დეკლარაციების

მოსამზადებლად, საგადასახადო სტრუქტურაში წარსადგენად და გადასახადის გადასახდელად. 2017 წლის რეიტინგშიც საქართველო 22-ე ადგილზე იყო. Paying Taxes 2018-ის მიხედვით, კვლევაში მონაწილე კომპანიას საქართველოში ესაჭიროება 269 საათი საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად (ერთი საათით ნაკლები 2017 წელთან შედარებით). აღნიშნული კომპანია ახორციელებს 5 გადახდას (იგივე რაც 2017 წელს), ხოლო გადასახადის წილი მთლიან შემოსავალში შეადგენს 16.4% (იგივე რაც 2017 წელს). კვლევაში მონაწილე კომპანიებს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები) და ცენტრალური აზიის ქვეყნებში საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად საშუალოდ ესაჭიროებათ 230 საათი, რაც საქართველოზე ნაკლებია. თუმცა, რეგიონის საშუალო გადასახადის წილი მთლიან შემოსავალში (TTCR) მეტია საქართველოს მაჩვენებლებზე და შეადგენს 33.4%-ს. ამასთან ერთად რეგიონალური საშუალო გადახდების რაოდენობაც აღემატება საქართველოს საშუალო გადახდების რაოდენობას და საშუალოდ 16 ერთეულის ტოლია.

3.2 დაბეგვრის რეგულირება და სრულყოფა

საქართველოში დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმება 2015 წელს მოხდა. 2016 წლიდან მოქალაქეები, რომელთა წლიური ხელფასიც 6000 ლარს არ აღემატება უკან ვეღარ დაიბრუნებენ გადასახადებში გადახდილ თანხას. 2014 წელს დაბალნ ხელფასიანებს დაუბრუნეს 130 მილიონი ლარი.

თუ ადამიანმა სამუშაო იშოვა, როგორი მცირეც არ უნდა იყოს მისი ანაზღაურება, დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმების შემდეგ იგი 20%-იანი საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება. ასე რომ, თუ ღარიბი თვეში 200 ლარს გამოიმუშავებს, მან მისგან 40 ლარი ბიუჯეტში უნდა გადარიცხოს, ხოლო თუ მდიდარი თვეში 8000 ლარს, მან მისგან 1600 ლარი ბიუჯეტში უნდა გადარიცხოს. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი ნორმალურია. საქართველოში პროპორციული დაბეგვრის სისტემაა შემოღებული და ყველა გადამხდელი მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა ერთნაირად იბეგრება. პირ-

ველს 40 ლარის გადახდა ეკუთვნის, მეორეს 1600 ლარის. მაგრამ თუ გავანალიზებთ ზოგად სურათს ეს გადასახადები და გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლები მნიშვნელოვან ინფორმაციას მატარებლები აღმოჩნდებიან. პირობითად ჩავთვალოთ, რომ ბიუჯეტში გადარიცხვის შემდეგ პირველს დღეში გამოსაყენებლად რჩება მხოლოდ 5.3 ლარი $((200-40) : 30$ დღე - 5.3ლარი), მეორეს კი 213 ლარი $((8000-1600) : 30$ დღე = 213 ლარი). განა ნორმალურია, რომ პირველს მხოლოდ 5 ლარს ვუტოვებთ, რომელიც საარსებო მინიმუმისთვის საკმარისიც არ იქნება. საკითხი დგება უნდა გაუწიოს თუ არა სახელმწიფომ მხარდაჭერა ასეთ ადამიანებს და შეუმსუბუქოს ფინანსური სიდუხჭირე. დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმების მხარდამჭერები აცხადებდნენ, რომ ამ გზით შემოსული თანხები მთლიანად სოციალ პროგრამებს მოხმარდებოდა, თუმცა თანხების ამოღება იმ მიზნით, რომ სახელმწიფომ გადაუწყვიტოს ის მცირედი თანხა როგორც დახარჯოს ადამიანს, არაეფექტურად და უსამართლო გზად მოჩანს. მიუხედავად მასშტაბის ეფექტის გათვალისწინებისა ეს მეთოდი საუკეთესო გამოსავალად არ ისახება.

ყოველივე აქედან გამომდინარე საქართველოში საჭიროდ ვთვლით:

1. აღდგეს დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც 2015 წელს გაუქმდა. ეს საშუალებას მოგვცემს მცირეხელფასიანები აღარ დავბეგროთ საშემოსავლო გადასახადით.
2. პროპორციული საგადასახადო სისტემა შეიცვალოს პროგრესიული სისტემით და დაწესდეს საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული შკალა - ნაკლებ შემოსავალს - ნაკლები გადასახადის განაკვეთი, მეტს - მეტი.

თავის დროზე შარლ ლუი მონტესკიეს უთქვამს: "არაფერი არ მოითხოვს ისეთ სიბრძნეს და ნიჭს, როგორც იმ ნაწილის განსაზღვრა, რომელსაც ართმევენ ქვეშევრდომებს და იმ ნაწილის, რომელსაც მათ უტოვებენ".¹

მსოფლიო მეურნეობის განვითარების ისტორიამ დაამტკიცა, რომ მონტესკიე მართალი იყო. ამის მიუხედავად დღემდე მსოფლიოში არ გამოჩნდა ისეთი სრულყოფილი სისტემა, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებდა. თვით ამერიკელ მეცნიერ ა. ლაფერსაც კი, რომელმაც დაადგინა, რომ საგადასახადო განაკვეთის ოპტიმალური სიდიდე შემოსავლების 10-45%-ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს, და,

¹ლუდუშაური ზ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2015, გვ. 195.

რომელსაც მხარს უჭერს ცნობილი ეკონომისტების დიდი უმრავლესობა, ჰყავს მოწინააღმდეგეებიც.

როგორი მდგომარეობაა გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მხრივ საქართველოში?

ცხრილში მოცემულია გადასახადის ტიპები და მათგან მიღებული შემოსავლები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2012-2018 წლებში.

გადასახადის ტიპები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ გადასახადები(მლნ. ლარი)	6311.1	6287.7	6847.0	7549.6	7986.8	8991.3	9695.9
გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე	2487.4	2601.6	2619.2	3077.6	3034.0	3282.6	3614.5
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	3699.9	3570.1	4108.7	4376.2	4356.1	5573.5	5892.6
გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე	90.1	89.4	94.9	69.3	70.1	71.6	73.4
სხვა გადასახადები	33.7	26.6	24.2	26.5	526.6	63.6	115.4
გადასახადები ხელფასზე და სამუშაო ძალაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

წყარო ფინანსთა სამინისტრო, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, ცხრილი 4

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გადასახადების მაჩვენებელი შეადგენს 9,695.9 მლნ ლარს, მათ შორის: საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებელი განისაზღვრა 3,614.5 მლნ ლარით;

სხვა გადასახადის მაჩვენებელმა შეადგინა 115.4 მლნ ლარი. 2018 წლის ბიუჯეტის გადასახადების მაჩვენებელი 2017 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 704.6 მლნ ლარით აღემატება.

დასკვნა

საქართველოს საგადასახადო სისტემამ ჩამოყალიბება ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან დაიწყო 1990-იან წლებში და განვითარების მნიშვნელოვანი გზა განვლო. საგადასახადო პოლიტიკა იცვლებოდა დროის მსვლელობასთან ერთად. ეტაპობრივად იცვლებოდა საგადასახადო სისტემა და საგადასახადო კოდექსი ადგილობრივ მოთხოვნილებებზე ორიენტირებული ხდებოდა. ფაქტია ის, რომ საქართველოში საგადასახადო სფერომ შექმნის დღიდან მნიშვნელოვანი, საჭირო და აუცილებელი ცვლილები განიცადა და ფაქტია ისიც, რომ მომავალში კიდევ ბევრია სამუშაო.

თანამედროვე ეტაპზე საგადასახადო სისტემის წინაშე დგას განსხვავებული გამოწვევები, უნდა იყოს პროპორციული სისტემა გადასახადების განაკვეთების დადგენისას თუ გამოვიყენოთ პროგრესიული სისტემა, რომელიც ზოგადი თვალსაზრისით უფრო სამართლიანად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მნიშვნელოვანია თუ მიღებული შემოსავლების რა ნაწილი უნდა დარჩეს კერძო მეწარმესა და რა ნაწილი იქნეს ამოღებული გადასახადის სახით.

საგადასახადო სისტემამ უნდა უზრუნველყოს შემოსავლების განაწილების სამართლიანობა და მოახდინოს თანასწორობის შექმნა, რამდენადაც ეს შესაძლებელია სამართლიანობის პირობებში. ისტორიულად ყოველთვის არსებობდნენ და მომავალშიც იარსებებენ ადამიანები, რომლებიც საკუთარი ცოდნის, ხასიათის, შემთხვევითობისა თუ რისკისადმი დამოკიდებულის გამო უფრო მეტ შემოსავალს მიიღებენ, ვიდრე საზოგადოების დანარჩენი წევრები. პროპორციული სისტემა უზრუნველყოფს, რომ მაღალ შემოსავლიანმა ადამიანმა, მასზე უფრო მცირე შემოსავლის მქონე ადამიანზე მეტი თანხა შეიტანოს ქვეყნის ბიუჯეტში გადასახადის სახით, თუმცა რამდენად საკმარისია ეს სხვაობა სხვა საკითხია. ევროპის წამყვან ქვეყნებში ვხვდებით დაბეგრვის პროგრესიულ სისტემას, რაც კიდევ უფრო მეტად მიზანშეწონილს ხდის ამ სისტემის გამოყენებას. ცალკე საკითხია, როგორ უნდა მოხდეს გადასახადების განაკვეთების

დადგენა, ისე, რომ არ მოხდეს ადამიანებში შემოსავლების ზრდისკენ მისწრაფების სტიმულების შემცირება გადასახადის განაკვეთის ზრდის გამო.

მნიშვნელოვანია ჯინის ინდექსის მაჩვენებლის გათვალისწინებაც. ამ ინდექსის მონაცემებს მსოფლიო ბანკი აქვეყნებს, რომლის მიხედვითაც საქართველოში 2011-2016 წლებში დადებითი ტენდენცია შეინიშნება. მიუხედავად ამისა ინდექსის მაჩვენებლი, საკმაოდ მაღალია და უნდა ვეცადოთ მისი შემდგომი შემცირება. 2017 წელს ამ ინდექსის რიცხვითი გამოხატულება კვლავ გაიზარდა და საქართველოში ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს რეგიონთან შედარებით, 2018 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ჯინის ინდექსმა 39 ერთეული შეადგინა, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ამ პრობლემის მოგვარების აუცილებლობაში.

აუცილებელია დაუბეგრავი მინიმუმის არსებობა, განსაკუთრებით საქართველოს რეალობაში, როდესაც საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილის ხელფასი, ევროპის ან სხვა განვითარებული ქვეყნებში არსებულ საარსებო მინიმუმზე დაბალია. შემოსავლების აკრეფა იგივე ოდენობით ასეთი მცირე შემოსავლების მქონე ადამიანთათვის და საზოგადოების დანარჩენი ნაწილისგან არაგამართლებული, არასამართლიანია.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

წიგნები :

- ბახტაძე ლ., რ.კაკულია, მ.ჩიკვილაძე „საგადასახადო საქმე“ თბილისი 2007
- კოპალეიშვილით, ჩიკვილაძემ. „გადასახადები და დაბეგვრა“ თბილისი 2011
- სილაგაძე ა. კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე. „მიკროეკონომიკა“ თბილისი 2006
- ლუდუშაური ზ. „ფინანსური მენეჯმენტი“ თბილისი 2015
- ბასარია რ., მესხია., „გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები“, თბილისი 1995
- ბასილია...: ბასილია თ., სილაგაძე ას., ჩიკვაძე თ., „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს XXI საუკუნის მიჯნაზე“, თბილისი 2001
- ბახტაძე ლ., გარდამავალი ხანის ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბილისი 2006
- მაღლაკელიძე თ., „გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება“, თბილისი 1999.
- კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა., „საჯარო ფინანსები“ თბილისი 2010
- ბლანშარი ოლივიე, „მაკროეკონომიკა“ 2010

სტატიები:

- ირაკლი კოვზანაძე- რეინვესტიციების ზრდა - Commersant.ge
- ირაკლი კოვზანაძე - ინფლაციის დონის მიზნობრივი მაჩვენებლისგან საგრძნობი გადახრა ფიქსირდება - Commersant.ge
- ირაკლი კოვზანაძე - 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები - Commersant.ge
- კახნიაშვილი ნ. „შემოსავლების განაწილების უთანაბრობა საქართველოში“ ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, N 4, სექტემბერ-ოქტომბერი, 2016 ;

- კახნიაშვილი ნ., „სიღარიბე და პროგრესიული გადასახადები“, პ.გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, თბილისი, 2015, გვ., 504-506.

ოფიციალური მასალები:

- საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახდო კოდექსი 2017
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები
- მსოფლიო ბანკის ჯგუფის მონაცემები
- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020
- ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი - საქართველო: შესაძლებლობები კეთილდღეობის მისაღწევად 2014

ინტერნეტ წყაროები:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <https://mof.ge>
- ბიუჯეტი მოქალაქის გზამკვლევი - https://mof.ge/mokalakis_gzamkvlevi
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://geostat.ge>
- მსოფლიო ბანკის ჯგუფი <https://data.worldbank.org>